



ჩიმიშკიანი

ჩიმიშკიანი

RAPHAEL CHIMISHKYAN

დავით ჭავჭავაძე

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenaishvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsiauri**

ტექსტი  
დავით ჭელიძე

TEXT  
**David Chelidze**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქცია  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი, იური სომოვი,  
ჯემალ კასრაძე, იური მორგულისი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)

PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili, Yuri Somov,  
Jemal Kasradze, Yuri Morgulis, www.sportphoto.ge**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Weightlifting Federation**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-3431-2

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



რაფაელ ჩიგოჯიანი

2011



თბილისში, რუსთაველის ძველთან ერთი პატარა ქუჩაა, გაბაშვილის სახელობისა, რომლის 5 ნომერშიც, ხის კიბეებზე ვსხედვართ და ვიხსენებთ, ვიგონებთ, ვეფერებით, მივსტირით იმ ძველსა და დაუფინყარს, რაც ჟამთა სვლას დაუძველებია, თორემ გულში და გონებაში ისევ ძალუმად ფეთქავს.

1929 წლის 23 მარტს სწორედ ამ სახლში დაიბადა რაფაელ ჩიმიშკიანი. მამა, არკადი, რკინიგზის სამმართველოში ცვლის უფროსად მუშაობდა, დედა, ნინო ბერიძე, დიასახლისი ბრძანდებოდა. ძმა სურენი რაფაელზე სამი წლით იყო უფროსი.

აი, ჩიმიშკიანების მთელი ოჯახი. შინ რუსული ენა დომინირებდა და როგორც ჩვენი გმირი ასკვნის, დედ-მამა მორიგებულები იყვნენ, არც შენი და არც ჩემიო, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.


ეგრეთ წოდებული, იტალიური ეზოა...

„თბილი, ისეთი თბილი, რო უკეთესს ვერ წარმოიდგენდი.

აქ ახლა ჩემი უფროსი ქალიშვილი და ძმისშვილი ცხოვრობენ. როცა გულზე რალაც შემომანეება ხოლმე, სწორედ აქ მოვდივარ, ამ სახლის კიბეებზე ჩამოვჯდები და თვალწინ უმალ მთელი ჩემი ბავშვობა გადამეშლება. გავიხედავ მარჯვნივ, მარცხნივ, აღვიდგენ ძველ კადრებს და მიკვირს, ნუთუ მე ვიყავი ის მარჯვე, დიდი „შუსტრი“ ვინმე, დედა რომ სულ ქუჩაში დამსდევდა-მეთქი. მახსენდება ის ბედნიერი წლები და უნებლიედ თვალებზე ცრემლი მომადგება...“

პატარა რაფოს დედა შიშობდა, ემანდ ამ მამაძაღლმა რამე არ მოიწიოს, რამე არ დააშავოსო. სწრაფი იყო, უბნელებს ყველას სჯობდა სირბილში, ხტომაში. მამამისს აივანზე ლერძი ჰქონდა დამაგრებული და ყოველ დილას „კუთხეს იჭერდა“. რაფოსთვის ცოტა მაღალი კი იყო, ვერ სწვდებოდა და სკამს მიიდგამდა ხოლმე. ფიქრებში ჩაძირულ ბატონ რაფაელს ახლაც უკვირს, ასეთი ტანმორჩილი, კაცმა რომ თქვას, არასპორტული აღნაგობის ბიჭი როგორ იმორჩილებდა იმ რკინის ლერძს, რომელზეც ათასნაირ ვარჯიშს ასრულებდა. ფეხბურთი უყვარდა, დილიდან დაღამებამდე ბურთს დასდევდა, არც ჭიდაობა იყო მისთვის უცხო, კარგადაც ჭიდაობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მისგან ვერც ფეხბურთელი და ვერც დიდი მოჭიდავე დადგებოდა.

„ჩვენს ქუჩაზე თორმეტი სახლი იდგა, ყველა ეროვნების ხალხი ერთმანეთში იყო არეული. ეროვნებას ვინ აქცევდა ყურადღებას. უბნელი ბიჭები





ახლო მეგობრები ვიყავით. ამ ქუჩაზე იზრდებოდნენ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, პროფესორი თამაზ შილაკაძე, ცნობილი ალპინისტი კაკო მარი, ექსტრასენსი ავთო ლომსაძე... სხვათა შორის, ყველანი თბილისის საპატრიო მოქალაქეები ვართ. მაშინ, ბავშვობაში, ტრუსებში რომ დავრბოდით, ვინ იფიქრებდა, თუ ამ ერთი პატარა თბილისური ქუჩიდან ამდენი ცნობილი ადამიანი გამოვიდოდა“.

რაფოს ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, ზამბარებიანი სანოლი ედგა, პატარა მაგიდა, სკამი და ტუმბოზე რადიომიმღები „ურალ-49“. ეს ერთი ციცქნა ოთახი სასტუმროსავით იყო, მთელი ბიჭები იქ იყრიდნენ ხოლმე თავს.

გაბაშვილის 5 ნომრის კიბეებზე ფიქრებში ჩაძირულ ბატონ რაფაელს არ შეიძლება დედა არ მოაგონდეს, ისეთი ქალი იყო, მე კი არა, მთელ უბანს უყვარდაო.

„ავად რომ ვარ ხოლმე, დედაჩემს მოვუხმობ — მიშველე დედიკო-მეთქი და ეტყობა ღმერთიც შეისმენს ჩემს ვედრებას და დედაჩემიც... რალაცნაირ შვებას მართლაც ვგრძნობ. ეს ალბათ მაინც ფსიქოლოგიური მომენტია, მაგრამ ასე კია და... ნამდვილი ქართველი ქალი იყო... დედა რომ „იავნანას“ გიმღერებს, ის უსათუოდ დასაფასებელია. ძალიან თბილი და გულისხმიერი დედა მყავდა...“

პატარა რაფო ბარნოვის ქუჩის დასაწყისში, აღმართზე, 42-ე რუსულ სკოლაში სწავლობდა. დედაჩემი კუთხეში დამხვდებოდა, სანდლებს გამხდოდა და შინ ასე ფეხშველა მიშვებდაო, — იგონებს ბატონი რაფაელი. ომის დრო იყო, ყველას უჭირდა, ბევრს არც ფეხსაცმელი ჰქონდა და არც საჭმელი. მომჭირნედ ცხოვრობდნენ, ყველაფერს უფრთხილდებოდნენ, მით უმეტეს, რაფო ონავარი ბიჭი იყო, ერთს გაჰკრავდა ქვას ფეხს, ბურთივით აკენწლავდა და მორჩა, იმ ფარატინა საზაფხულო ფეხსაცმელებს წამში გაძვრებოდა ძირი...

ბიჭები კვალის ქუჩაზეც გადიოდნენ, გრიბოედოვზეც, ქუჩა ქუჩას ეჯობებოდა ფეხბურთში, ყველას უგებდნენ. ვინმე მერაბ სუპატაშვილი ჰყვლიათ გუნდში, ახალგაზრდობაში გარდაცვლილა. თურმე ისე თამაშობდა, უბნელებმა ბორიან პაიჭაძე შეარქვეს. აბა, ასეთ გუნდს ვინ მოუგებდა!

ხანდახან ჩხუბიც მოსდიოდათ სხვა უბნელებთან და იქაც ერთმანეთის გვერდით იდგნენ ბიჭები. ტყუილს ბავშვობიდან ვერ იტანდა, გული ერჩოდა და ხშირად ჩხუბი ამ მიზეზით დაიწყებოდა ხოლმე. ხანდახან მშობლებთან დაა-

ბეზღებდნენ, თქვენმა შვილმა მცემაო და სამსახურიდან გვიან დაბრუნებული ბატონი არკადი ცოჭებს აუნვავედა, ეს როგორ გაბედე, რა ყარამან ყანთელი გამომიხვედი, იცოდე, ჭკუით იყავი, თორემ მე ვიცი შენი ამბავიო. იცოცხლე, მეორე დღეს იმ დამბეზღებელს რაფოსგან დღე დაადგებოდა!..

„სტადიონზე ტროლეიბუსით მივდიოდით, უკანა მხრიდან შევახტებოდით, ბუფერზე დავდგებოდით. სტადიონთან კი ბიგელებს ჩამოვუშვებდით და ჩამოვხტებოდით. ჩვენი ჭკუით, ასე უფრო ფასი დაედებოდა ნამდვილი პაიჭაძისა და ჯეჯელავას თამაშის ნახვას. მაგრამ მთავარი ეს არ იყო, მთავარი ცხენებზე ამხედრებული მილიციონერებისგან დასხლეტა იყო, თუ იყოჩაღებდი და ცხენს ლაჯებქვეშ გაუძვრებოდი, თავი ქუდში გქონდა, სტადიონზე მოხვედრილი იყავი. ერთხელაც, მე დაუძვერი მილიციას, შევედი სტადიონზე და ძალიანაც ვისიამოვნე ჩვენი ბუმბერაზი ფეხბურთელების თამაშით, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა ეს ვერ მოახერხეს და სტადიონზე ვერ მოხვდნენ. შინ, ცოტა არ იყოს, ცხვირაბზეკილი დავბრუნდი, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, პაიჭაძის თამაში ცოცხლად ვნახე. ვხედავ, ბიჭები ცხვირჩამოშვებულები ჩამომსხდარან კიბეზე და მელოდებიან. დამინახეს თუ არა, მომცვივდნენ, პაიჭაძე თუ ნახეო...“

ჩიმიშკიანების მეზობლად, მეორე სართულზე, მსახიობი ვანო ტურიაშვილი ცხოვრობდა, რომელსაც თვითნაკეთი შტანგა ჰქონია — რკინის ლერძზე აქეთ-იქით მავთულებით დამაგრებული თუჯის ფირფიტებით. ახლა კი ეცინება, მაგრამ პატარაობისას რაფოსა და უბნის ბიჭებს თვალი სულ იმ შტანგისკენ გაუბრუნდა. პატარები შურით შესცქეროდნენ, დილაობით როგორ გამოვიდოდა ეს ტანმალალი, მოხდენილი კაცი აივანზე, ივარჯიშებდა, ღონივრად ამოისუნთქავდა, არემარეს თვალს მოავლებდა, წელში მოიხრებოდა და თავისუფლად ასწევდა ამ მძიმე რკინას, მერე ჰაერში აათამაშებდა და მსუბუქად, დინჯად დაუშვებდა.

ერთხელ ბავშვებს უთხოვიათ, — ბიძია ვანო, შტანგა ჩვენც აგვანევიანო, მაგრამ მსახიობს ისინი უარით გამოუსტუმრებია: ჯერ თქვენთვის ადრეა, დავაჟკაცდით და თუ გენდომებათ, სახლში გაგატანთო.

აკრძალული ხილი გემრიელია.

ერთხელაც, რას ხედავს გვიან საღამოს სამსახურიდან (ვანო ტურიაშვილი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მუშაობდა) შინ დაბრუნებული მსახიობი:





მის აივანზე გადასულა 12-13 წლის რაფო და გაჯგიმულს თავს ზემოთ 25-კილოგრამიანი შტანგა აუზიდავს. მოულოდნელობისგან გაშეშებული კაცი, კედლის კუთხეს მიყრდნობია და ხმას ვერ იღებდა თურმე. რაფოს რომ დაუნახავს შტანგის პატრონი, ახლა ის გახევებულა. მერე მოუაზრებია, სასწრაფოდ ჩამოუღია იარაღი და შურდულივით გავარდნილა... შეშინებული ყმანვილი კარგა ხანს ემალებოდა მეზობელს.

ერთ დღესაც ძია ვანომ დაუძახა, კაცო, რას მემალეები, გამოჩნდი, არ გაგიჯავრდებიო. ბიჭის ასეთი დაინტერესება რომ დაინახა, თავად შესთავაზა თვითნაკეთი შტანგის აწევა. რაფო ისე კარგად და მსუბუქად სწევდა სიმძიმეს, ვანო ტურიშვილი სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩენილა.

უბნის ბიჭებს ყველაზე ახლოს ბესიკის ქუჩაზე ეგულეობდათ კინოთეატრი, ძერჟინსკის სახელობის კლუბში. ხშირად დადიოდნენ იქ. თუმცა ამ კინოთეატრს სხვა ხიბლიც ჰქონდა, მის ქვემოთ რამდენიმე სპორტული დარბაზი იყო და ერთ-ერთში ძალოსნები ვარჯიშობდნენ. აბა, პატარა ბავშვებს იქ ვინ გააკარებდა და ისინიც ფანჯრებიდან უცქერდნენ და შორიდან ტკბებოდნენ კუნთმაგარი ახალგაზრდების ვარჯიშის ყურებით.

იქ, სადაც ამ ცოტა ხნის წინ რესტორანი „არაგვი“ იდგა, ადრე უზარმაზარი კედლით გარშემორტყმული საცურაო აუზი იყო. რაფო და მისი ძმაკაცები ხშირად აბობლებულან ამ კედელზე და ცურვით გული უჯერებიათ. ერთხელაც ბიჭებს აუზთან ჭიდაობა გაუჩაღებიათ. 16 წლის რაფოს ყველასთვის უჯობნია. მეტოქეს რომ დასცემდა, მერე თურმე მალლა აიტაცებდა და აუზში გადაუშვებდა.

ამ ამბავს შესწრებია მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვალენტინ იაკოვიჩი — მაღალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა კაცი. რაფოს ისიც წაუქცევია, ოღონდ წყალში თავადაც გადავარდნილა. სწორედ იაკოვიჩს შეუთავაზებია რაფოსთვის ძერჟინსკის კლუბის შტანგის სექციაში სიარული.

ასე აღმოჩნდა რაფაელ ჩიმიშკიანი ბესიკის ქუჩაზე, ძერჟინსკის სახელობის კლუბის ძალოსნობის სექციაში, მწვრთნელ პაველ გუმაშინთან, რომელსაც, დიდიან-პატარაანა, ყველა ძია პავლიკს ეძახდა. რამდენი წლისა ხარო, — ჰკითხა მწვრთნელმა. რაფომ რომ უპასუხა, თექვსმეტისა ვარო, მწვრთნელმა არ დაიჯერა, წადი, მეტრიკა და ჯანმრთელობის ცნობა მომიტანე და მერე მოდიო. რაფომ ვერ მოითმინა და სთხოვა — ძია პავლიკ, სანამ წავალ, თუ შეიძლება, ის შტანგა

ამანეცინეო. ორმოცკილოგრაშიანი შტანგა სამ-ოთხჯერ თავისუფლად რომ ას-  
ნია, გამოცდილმა პედაგოგმა თავისთან მიიხზო და უთხრა — ბიჭო, შენ არ ხუმ-  
რობ, ხომ იცი, მკლავებში ძალა გქონიაო.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, 1946-დან 1964 წლამდე, მთელი თვრა-  
მეტი წელიწადი, მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს შტანგა არ გაუგდია ხელიდან:  
„დარბაზში მისვლის პირველი დღიდანვე ერთი დღეც არ გამიცდენია, ყველა-  
ზე ადრე მივდიოდი და ყველაზე უკან ვბრუნდებოდი შინ. ამის გამო სკოლაც  
გამოვიცვალე, სალამოს სკოლაში გადავედი“.

ახალმისულ ყმანვილს დარბაზში დახვდნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემ-  
პიონატების ბრინჯაოს პრიზიორი, სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი და რეკორ-  
დსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მოისეი კასიანიკი, ევროპის ჩემპი-  
ონი ვლადიმერ სვეტილკო და სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი მამია ჟღენტი.

„კასიანიკსა და სვეტილკოს შტანგის აჭიმვის კარგი მეთოდი ჰქონდათ,  
ჟღენტი კი კარგად იტაცებდა და ჰკრავდა. ამიტომაც მე მამიას ვბაძავდი, მის  
მოძრაობებს ვაკვირდებოდი. მამიას სიამოვნება, მისი მოძრაობები რომ გა-  
დავიდი და მაქეზებდა, ყოჩაღ, ჩემზე კარგად აკეთებო. ერთხელ პრიზიც მომ-  
ცეს — მოძრაობის შესრულების საუკეთესო ტექნიკისთვის“.

სექტემბერში დაიწყო ვარჯიში და ნოემბერში თბილისის ჩემპიონი გახდა,  
ხოლო დეკემბერში გორკში უკვე საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ ჩემპიონ-  
ნატში მიიღო მონაწილეობა. 16 წლის რაფო ჩიმიშკიანი საქართველოს ნაკრებ-  
ში მოხვდა და რადგან იმ დროს ასაკობრივი კატეგორიები არ იყო, ლამის მამის  
ტოლ ხალხს შეეჭიდა და საპატიო, მეცხრე ადგილი დაიკავა. აქ გამოდიოდნენ  
მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გიორგი ნოვაკი, რომელმაც იმ შეჯიბრებაში  
აჭიმვაში 20 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი, აგრეთვე, ნი-  
კოლაი შატოვი, იაკობ კუცენკო, სერგო ამბარცუმიანი, ისრაილ მეხანიკი —  
ძალოსნობის ცნობილი ოსტატები — საბჭოთა კავშირის, ევროპის ჩემპიონები  
და მსოფლიოს რეკორდსმენები.

„ნოვაკის სახელი პირველად იმ ჩემპიონატზე გავიგე. გორკში ძალიან კუ-  
რიოზული ამბავი შემემთხვა. სხვათა შორის, ნოვაკიც ჩემსავით ტანმორჩილი  
იყო. დერეფანში თანაგუნდელთან ერთად მივდიოდი და ნოვაკი რომ გამორჩ-  
ნდა, ჩემი ჭკუით, მეგობარს ხმადაბლა, ჩურჩულით ვკითხე, ასეთი დაბალი კა-  
ცი მსოფლიოს ჩემპიონი როგორ გახდა-მეთქი, მაგრამ ნოვაკის ყურამდე მა-

ინც მიაღწია ჩემმა ნათქვამმა და — ნეტა, შენ რომელი გოლიათი მყავხარო, — შემომიბღვირა და თან ერთი გემრიელად შემიკურთხა. გავიდა რამდენიმე წელი და ჰელსინკში, ოლიმპიურ თამაშებზე, მე და ნოვაკი ერთ ოთახში გაგვამნესეს. დამინდო და გორკის „ინციდენტზე“ სიტყვა არ დასცდენია“.

გორკში დაკავებული მეცხრე ადგილის მიუხედავად, რაფაელ ჩიმიშკიანის გამოსვლამ სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. შეჯიბრების შემდეგ რადიოჟურნალისტებმა რუსი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯისგან — იური გოლდმანისგან ინტერვიუ აიღეს. როცა მჩატე წონითი კატეგორიის ძალოსნებს შეეხო, ამ კაცმა თქვა — ჩიმიშკიანის გვარი დაიმახსოვრეთ, ძალიან ახლო მომავალში ეს ბიჭი ჩემპიონი გახდებაო.


თბილისში რომ ჩამოვიდა, უბნის ბიჭები შინ ეწვივნენ, როგორც ჩანს, ვილაცას მოუსმენია რადიოში და ეს ამბავი უმაღლეს მთელ უბანს მოედო.

„ჩემს ძმაკაცებს სულ განებივრებული ვყავდი, შეჯიბრებიდან ჩამოსვლას არ მაცლიდნენ და შინ დამადგებოდნენ, აბა, რაფო, გვიამბე, რა როგორ იყოო.


ისედაც, დილას ვარჯიშზე წასასვლელად გარეთ რომ გამოვიდოდი, მთელი ბიჭები ამედევნებოდნენ და ბესიკის ქუჩამდე მაცილებდნენ. სანამ ვივარჯიშებდი, ისინი იქ, კუთხეში, ბოლთას სცემდნენ და მერე შინ ისევ ერთად ვბრუნდებოდით, გზად ლალიძის წყლებში შევლაგებოდით, უზარმაზარი რიგი დგებოდა. ნაღებიანი კაკაოს წყალი გვიყვარდა, სამ-სამ ჭიქას ვსვამდით. მერე გამოვიდოდით გარეთ და „ვბირჟაობდით“.

მართალია, ბესიკის ქუჩის დარბაზს თავისი საშხაპე ჰქონდა, მაგრამ რაფოს რცხვენოდა უფროსებთან ერთად შხაპის მიღება. გარდა ძალოსნებისა, მოკრივეებიც იქ იყვნენ — სანია გოლმტეინი, ანდრო ნავასარდოვი, გაბო ხანუკაშვილი, გიორგი ვართანოვი, ლევან ლუდუშაური, შალვა გორგასლიძე... აბა, ამათთან ერთად საშხაპეში როგორ შევიდოდა. ვარჯიშიდან შინ რომ მობრუნდებოდა, დედას წყალი უკვე გამზადებული ჰქონდა. გამოიტანდა ეზოში ტაშტს, დაიდგამდა განელეზულ წყალს და მიდიო... ამასობაში გამოვიდოდნენ მეზობლის მაკვარანცხი ბიჭები — ხან საპონს ააცლიდნენ, ხან თუნგს დაუმაღავდნენ და ატყდებოდა ერთი ვაი-უშველებელი...

ხანდახან მამამისს ორჯონიკიძის ქუჩაზე, მოჭიდავეთა დარბაზის გვერდით, ორთქლის აბანოში დაჰყავდა — დაძაბული ვარჯიშების შემდეგ კუნთების ტკივილს ძალიან შველოდა.



1949 წელს  
რაფაელ ჩიმშკიანი  
პირველად გახდა  
სსრ კავშირის ჩემპიონი



დინამოელი ძალოსნები.  
მარჯვნიდან პირველი —  
რაფაელ ჩიმშკიანი



ევგენი ნოვიკოვი და  
რაფაელ ჩიმიშკიანი.  
1949 წელი



რაფაელ ჩიმიშკიანი,  
ივან უდოლოვი,  
ნიკოლაი კოსტილევი და  
ვლადიმირ სტოგოვი  
მსოფლიო ჩემპიონატზე.  
ვენა 1954 წელი



ჩიმიშკიანების ოჯახი:  
რაფაელი, ირინა,  
ჯულიეტა, უანა და მარია.  
1965 წელი



ბაკურიანში,  
ოჯახთან ერთად

„იქ გავიცანი ჩემი გივი კარტოზია, ბატონი პეტრე იორდანიშვილი ავარჯიშებდა... ისეთი ძმობა გვქონდა, ისეთი სიყვარული, რომ მეტი არ შეიძლება. მერე ჩვენი სამეგობრო წრე გაიზარდა, ახალ-ახალი მეგობრები შემოგვემატა და ერთმანეთს ვაცნობდით, ვაახლოებდით,“ — თვალებს მალავს, ვინმემ ცრემლი არ დამინახოს, უხერხულიაო.

1947 წლის თებერვალში ჩიმიშკიანმა საქართველოს პირველობაზე ყველა დაჯაბნა და მალე ერევანში წაიყვანეს, ამიერკავკასიის ხალხთა სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად. შეჯიბრების დღეს ყელი ასტივიდა, სიცხე მისცა და ფიცარნაგზე ვერ გამოვიდა...

მაისში კი უკვე მოსკოვი მასპინძლობდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს. მოსკოვში, ბაქოს გავლით, მატარებლით გაემგზავრნენ. ვაგონში საშინელი პირობები იყო — სიცივე, სივიწროვე და ანტისანიტარია...

ერევანში დანყებული უიღბლობა მოსკოვში გაგრძელდა. საღამოს, სასტუმროში მოულოდნელად ცუდად გახდა. სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს და ქალაქის ცნობილ ბოტკინის საავადმყოფოში გააქანეს. იქ უთხრეს, ნუ გეშინია, ბოტკინსაც მიეხედავთ და, თუ საჭირო გახდა, ბრმა ნაწლავსაც ამოგაცლითო. არადა, რაფო მართლაც შეშინდა — სკალპელისა კი არა, შპრიცის დანახვაზეც გული მისდიოდა. მწვრთნელმა პავლე გუმაშიანმა დაამშვიდა, აქ კარგად მოგივლიან და ხვალ ერთმანეთს ისევ შევხვდებითო. ექთნებმა ახალმღებულნი ავადმყოფის ტანსაცმელი გაზეთში შეახვიეს და მწვრთნელს გაატანეს.

პატიმრების მსგავსად, თურმე, იმ საავადმყოფოს პაციენტებსაც ზოლიან ხალათებს აცმევდნენ.

გათენდა თუ არა, ბევრი არ უფიქრია — ფეხაკრებით გამოიპარა იქიდან. ქუჩაში რომ გამოვიდა, ბუნებრივია, „ზოლებიან“ კლიენტს მანქანას არავინ უჩერებდა. როგორც იქნა, ერთ ღვთისნიერ კაცს შეეცოდა... კითხვა-კითხვით, ქუჩაში გამოკრული აფიშების მეშვეობით მიაგნეს იმ დარბაზს, სადაც ჩემპიონატი ტარდებოდა. პავლე გუმაშიანმა რომ დაინახა, შეიცხადა — შენ ხომ არ გაგიჟდი, ეს რა გიქნია, უჩემოდ როგორ წამოხვედიო.

რა თქმა უნდა, ჩემპიონატში არ გამოსულა. ზედიზედ ორი სერიოზული შეჯიბრება გაუცდა, მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ?!

...თბილისში რომ დაბრუნდა, მაინც გაიკეთა ოპერაცია, მაგრამ გაცივდა და ფილტვების ანთება აიკიდა. საჩემპიონოდ გამზადებული ახალგაზრდა კა-



ცი საწოლს მიეჯახება. იმის ნაცვლად, რომ დღედაღამ ევარჯიშა, ოსტატობა დაეხვეწა, ლამის მთელი წელიწადი უქმად გაატარა.

რკინის ნებისყოფა აღმოაჩნდა, ვარჯიშის ნება რომ დართეს, მთელი შემართებით შეუდგა წვრთნას და უკვე მომდევნო წლის თებერვალში კვლავ უძლიერესი იყო საქართველოში.

მერე კიევს გაემგზავრა, სსრ კავშირის მორიგ პირად ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. კიევში რაფაელმა წინა პირველობის შემდეგ სამი საფეხურით გააუმჯობესა შედეგი — გორკში დაკავებული მეცხრე ადგილიდან მეექვსეზე აინაცვლა და, რაც მთავარია, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მახსოვს, ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ამ ნიშნით მკერდდამშვენებულ კაცს რომ დავინახავდით, მის მიმართ რალაცნაირი ინტერესითა და პატივისცემით განვწყობოდით ხოლმე.

ესლა აკლდათ უბნელ ბიჭებს?! დაიწყო გაუთავებელი — „ვა, როგორ გიხდება, ბიჭო“, „აბა, რაფოჯან, მოიხსენი ერთი, გვაჩვენე“... წარმოიდგინეთ, 1948 წელია, მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებულია... რაფაელ ჩიმიშკიანი კი უკვე სპორტის ოსტატია და ამ ამბით მთელი უბანი ამაყოფს.

1948 წელს ლესელიძის „დინამოს“ სპორტული ბაზის პირველი კორპუსი ამუშავდა და ამ ახალგახსნილ ბაზაზე „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს 25 წლის იუბილესთვის ემზადებოდნენ. შეკრებაზე საქართველოდან გამოძახებულნი იყვნენ: მამია ჟღენტი, ალასი ჩილინგაროვი, ანდრო ნავასარდოვი, ვლადიმერ სვეტილკო, დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია, ვასილ ილურიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი და სხვები.

რაფო კოხტა, ულვაშა ბიჭი იყო და, არამარტო სპორტულ სარბიელზე, გოგონების გარემოცვაშიც თავს უცხოდ არ გრძნობდა. დინამოელთა შეჯიბრებაზე ერთი ახალგაცნობილი ქალიშვილი დაპატიჟა, ბილეთი აულო, დარბაზში თავის ადგილამდე მიაცილა, თვითონ კი დაბლა დაეშვა, გასახდელში.

გამოვიდა რაფაელი ფიცარნაგზე, თავისუფლად დასძლია წონები. თუმცა, კიეველი ანდრეი კონკინი მაინც გაუშვა წინ და თვითონ მეორე ადგილით დაკმაყოფილდა.

„ავკარი 118 კილოგრამი, თითქოს გამარჯვება და ოფიციალურ მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი უკვე ჯიბეში მქონდა და უცებ, ჩემდა ჭირად, იმ ჩემს „პადრუშკასკენ“ არ გავიხედე?! ახალგაზრდა ვიყავი, თავქარიანი. ეტყო-

ბა, არასწორად დავიჭირე შტანგა ან ფეხი დავდგი უხერხულად — მსაჯებმა წონა არ ჩამითვალეს. ასე აღმოვჩნდი მეორე ადგილზე“.

საბჭოთა პერიოდში ყველაზე ძლიერი სპორტსაზოგადოებები „დინამო“ და ცსკა იყო. ამ უწყებებში იყრიდა თავს ყველა უძლიერესი სპორტსმენი, რომლებიც ტონის მიმცემნი იყვნენ მთელ მსოფლიოში. 1948 წელს მჩატე წონის ძალოსანთათვის აკვრაში მსოფლიოს რეკორდი იყო 117,5 კილოგრამი იყო, მაშინ, როცა საბჭოთა რეკორდი 122 კილოგრამს უდრიდა. საქმე ის არის, რომ საერთაშორისო ფედერაცია ეროვნულ ტურნირებში დამყარებულ რეკორდებს არ აღიარებდა, თუ ამ შეჯიბრებას, სულ ცოტა, ორი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი მაინც არ მსაჯობდა.

ამ წელს გივი კარტოზია და რაფაელ ჩიმიშკიანი კონსტიტუციის ქუჩაზე, ფიზკულტურის ტექნიკუმში ჩაირიცხნენ და მათი მეგობრობა კიდევ უფრო გაღრმავდა.

ლესელიძეში, შეკრებაზე რომ იყვნენ, რაფაელმა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, მოკრივე რობერტ არდუშანიოვი გაიცნო.

„კარგი ბიჭი იყო, პლაჟზე ერთად დავდიოდით. ერთხელ მკითხა, შეყვარებული თუ გყავსო? არა-მეთქი, — ვუპასუხე. ერთი დეიდაშვილი მყავს, უცხო ენების ინსტიტუტში სწავლობს, მარია ჰქვია. კარგი გოგოა და მინდა გაგაცნოო. კეთილი, მოსკოვიდან რომ ჩამოვალთ, მაშინ იყოს-მეთქი.“

სექტემბერი იქნებოდა, მარია რომ გამაცნო. მაჩაბლის ქუჩაზე ცხოვრობდა, რამდენიმეჯერ შევხვდით ერთმანეთს. არ ვიცი, შევიყვარე თუ შევეჩვიე, მაგრამ მასთან კარგად ვგრძნობდი თავს. ხან კინოში, ხან თეატრში დავდიოდით, ხანაც ქალაქში ვსეირნობდით. ჩემმა მეგობრებმა შემომჩიველეს, ამისთანა ვინ გაიჩინე, ჩვენ რომ მიგვატოვე და აღარ გვენახვებიო...“

შეჯიბრებას შეჯიბრება მისდევდა და ახლა უკვე სანკტ-პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) მოიყარეს თავი ძალოსნებმა. ნევისპირა ქალაქმა საბჭოთა კავშირის გუნდურ პირველობას უმასპინძლა. როგორც იქნა, რაფაელმა ოქროს მედალი აიღო, თანაც უშუალო ორთაბრძოლაში აჯობა ევროპის მაშინდელ ჩემპიონს ივან აზდაროვსა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს დიმიტრი დანსკოის.

ახლა წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა თბილისის ძირძველ უბანში, გაბაშვილისა და მიმდებარე ქუჩებში. ახალგაზრდებმა თავიანთი ძმაკაცის ჩამოსვლამდე დიდი პურ-მარილი გაშალეს და გემრიელადაც მოუღებინეს.



არადა, კარგა ხანს ველარ ელირსნენ მეგობრის დაბრუნებას. ჩიმიშკიანი საპატიო მიზეზით დარჩა რუსეთში. იგი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოიძახეს და მოსკოვში, ერთთვიან შეკრებაზე დატოვეს.

მუცლის არეში ტკივილი შიგადაშიგ მაინც აწუხებდა, თუმცა სპორტსმენი ამას ყურადღებას არ აქცევდა, თავის მისახედად სად ეცალა, ის უკვე საკავშირო ნაკრების წევრად დაასახელეს, გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და ახლა სულ სხვა დატვირთვები, სულ სხვა მომზადება იყო საჭირო. აბა, ასეთ დროს

*ივან უდოლოვი,  
მაჰმუდ ფაიდი და  
რაფაელ ჩიმიშკიანი*

ტკივილზე წუწუნის ვის გაუგია! ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა რაფაელი და აკი, 1949 წლის 11 აპრილს კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა.

ამ დღეს მოსკოვში გაიმართა სამი ქალაქის — მოსკოვის, უკრაინისა და საქართველოს ძალოსანთა სამატრო შეხვედრა, სადაც რაფაელ ჩიმიშკიანმა პირველი ადგილი დაიკავა და, რაც მთავარია, პირველად აჩვენა მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი — 92-კილოგრამიანი შტანგა აიტაცა (იმ დროს სსრკ კავშირის რეკორდი 97 კილოგრამს უდრიდა, მსოფლიოსი - 91,5)!

ეს უკვე დიდი ამბავი იყო, რასაც სათანადო აღიარება მოჰყვა. თბილისის რკინიგზის ვაგზალზე დახვედრაც შესაფერისი მოუწყვეს, ოფიციალურ პირებთან ერთად მთელი თავისი საძმოც იქ იყო. „ზემელის გმირად მაღიარეს, მააშ!“ — იცინის ბატონი რაფაელი.

„მსოფლიოს მეორე სპორტული ფესტივალისთვის ვემზადებით, რომელიც ბუდაპეშტში უნდა გაიმართოს. კვლავ მოსკოვში გავდივართ შეკრებას. ძალიან კარგ ფორმაში ვარ, მაგრამ ამ ოხერმა ტკივილმა ისევ გამიხსენა და ჩემდა ჭირად, თანაგუნდელებთან დავიჩივლე. ხომ გაგიგონიათ, ენა ჩემი — მტერი ჩემიო. ერთი კივეელი მწვრთნელი იყო, გვარად ლუჩკინი, მჩატეწონოსან ივან უდოდოვს ავარჯიშებდა. სწორედ იმ ლუჩკინმა „ჩამიშვა“ — ექიმს უთხრა, ეს ბიჭი კარგად გასინჯეთო. ექიმმა მუცელზე ხელი დამადო და მითხრა — გამაგრებული გაქვს და ჯანმრთელობის ცნობას ვერ მოგცემ, შეიძლება შეჯიბრებაზე გაგისკდესო. კი მაგრამ, ამ მუცლით დავამყარე მსოფლიოს რეკორდი და ამ მუცლით გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი-მეთქი. ვინ მოგისმინა. ჩემს მაგივრად ის უდოდოვი წაიყვანეს და კარგი ხეირიც ნახეს — წააგო. არადა, რა ფორმაში ვიყავი!..“.

გულდანყვეტილი და ყურებჩამოყრილი რაფაელი თბილისში ჩამოვიდა. ერთხელაც მუშტაიდის ბაღში გაისეირნა. ერთ კუთხეში ძალოსნები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მივიდა ეს ჩვენი გმირი და „ცხელ გულზე“ ზედიზედ მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა. მაგრამ რად გინდა, ამ რეკორდებს ვინ ჩაუთვლიდა.

„მომდევნო წელს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატი ჩატარდა. უდოდოვი ჩემს წონაში გამოდის და ერთი სული მაქვს, შური ვიძიო და ხახამ-შრალი დავტოვო. რა თქმა უნდა, ასეც მოხდა — დიდი უპირატესობით ვაჯობე“.

ამის შემდეგ, ჩელიაბინსკში, რაფაელ ჩიმიშკიანმა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ შეჯიბრების დროს ცუდად გახდა — ნაჭრილობევი გაეხსნა. თბილისში რომ ჩამოვიდა, ხელმეორე ოპერაცია დასჭირდა.

ამჯერად გიორგი გაგუა დადგა საოპერაციო მაგიდასთან და დასტაქარის მაღლიანმა ხელმა ის ქნა, რომ უკვე სამ თვეში ჩიმიშკიანმა ისევ იასპარეზა საკავშირო, ამჯერად პირად ჩემპიონატზე. რადგან წონაში მომატებული იყო, შეჯიბრებისთვის დაკლება ვერ მოასწრო, უფრო მაღალ, მსუბუქ წონაში გამოვიდა და მეორე ადგილი დაიკავა.

ახალ შეკრებაზე გამოიძახეს და გამგზავრების წინ თბილისში შარს გადაეყარა — ნაცნობი გოგონას გამო ჩხუბი მოუვიდა და წარბი გაუსკდა. იქვე, ზემელზე, სამიას ბაღში, სასწრაფო დახმარების სამსახური იყო, და ნაჭრილობევი გაუკერეს.

ორი დღის დაგვიანებით ასე „გალამაზებული“ ჩავიდა ჩვენი რაფაელი მოსკოვში, შეკრებაზე. შეჯიბრებების წინ, შეკრებებზე საკონტროლო გამოსვლები ეწყობოდა ხოლმე. რუსმა სპეციალისტებმა შარი მოსდეს, არაფერი სამაგისო არ გჭირს, განგებ გაქვს შეხვეული, კონკურენტებისა გეშინიაო. ეს როგორ მაკადრეთო და — გაბრაზებულმა სპორტსმენმა ბინტი მოიგლიჯა და ძირს მოისროლა. ძლივს შეუჩერეს სისხლდენა, ახალი ნაკერი დაადეს.

1950 წლის საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის საბჭოთა ნაკრები ლატვიაში გადიოდა შეკრებას. რაფაელი ნელ-ნელა შევიდა საუკეთესო ფორმაში, აკვრაში მსოფლიოს რეკორდსაც კი აჭარბებდა. რეკორდი 135 კილოგრამი იყო, ჩიმიშკიანი კი ვარჯიშზე 140 კილოგრამს ძლევდა, 102,5-კილოგრამიან შტანგას ხელგაუშვებლად სამჯერ იტაცებდა, რაც მსოფლიოს რეკორდს მხოლოდ 2,5 კილოგრამით ჩამორჩებოდა.

„მწვრთნელთა საბჭოს სხდომაზე, სადაც მსოფლიო ჩემპიონატზე გასაგზავნი გუნდი უნდა დაემტკიცებინათ, გაუგებარი რამ მოხდა — ბათუმელმა კაცმა ვლადიმერ სვეტილკომ, რომელიც ნაკრების პარტკომი იყო, ჩემს წონაში ლოპატინს დაუჭირა მხარი: ჩიმიშკიანი ფორმაში არ არის და მეორე ნომრად გაეუშვათო. პავლე გუმაშვიანი სვეტილკოს ძალიან გაუბრაზდა — ამას რა პირით ამბობ, რაფო ლოპატინზე ათი თავით მაღლა დგასო. სვეტილკომ მაინც გაიტანა თავისი და ქვემსუბუქ წონაში ლოპატინი გაამწესეს“.

ლატვიიდან მოსკოვში რომ ჩავიდნენ, გამოირკვა, რომ 56 კგ წონაში საბჭოთა ნაკრების წევრს ივან უდოდოვს საფრანგეთში არ უშვებდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი გერმანელებს როსტოვში ტყვედ აუყვანიათ და ეს ამბავი ახლა გაუხსენეს. მერე ჩიმიშკიანი მოიკითხეს და ლამის უბრძანეს, სასწრაფოდ წონა დაიკელი, პარიზში უდოდოვის ნაცვლად გამოხვალო. რაფაელმა მოსაფიქრებლად ერთი დღე ითხოვა და პირად მწვრთნელთან ერთად ყველაფერი აწონ-დანონა. თან თბილისში საცოლეს დაურეკა და გული გადაუშალა. ბოლოს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გამოწვევა მიეღოთ. მარიასაც უთქვამს, მაინც პარიზია, წადი, გული გადააყოლე, ცოტა ფრანგულსაც ისწავლიო. თავად თურმე ფრანგულ ენას სწავლობდა ინსტიტუტში, საფრანგეთი ძალიან უყვარდა და გულით უნდოდა, რაფაელს მაინც ენახა მისი საოცნებო ქალაქი პარიზი.

ჩვენმა რაფაელმა, რომ იტყვიან, თავი მოიკლა და რამდენიმე დღეში შვიდი კილოგრამი დაიკლო და საასპარეზოდ გაემზადა.

ქვემსუბუქი წონის ათლეტები, მათ შორის ლოპატინი, შეჯიბრების პირველ დღეს ასპარეზობდნენ, მჩატე წონოსნები (რაფაელის წონა) — მეორე დღეს.

„საბჭოთა დელეგაცია ბულონის ტყეში სამსართულიან სახლში დაბანაკდა. თითოეულ სპორტსმენს ცალკე ოთახი გამოგვიყვეს. ეს სისულელე იყო. მაგალითად, ჩემი მარტო ყოფნა არ შეიძლებოდა. შეჯიბრების წინა ღამეს უცნაური სიზმარი ვნახე, გამომეღვიძა, ავდექი, ასგრამიანი ჭიქა მქონდა ნაღებული და სამი ჭიქა წყალი დავლიე და ისევ დავნექი. უთენია კარზე ბრახუნმა გამომაღვიძა. თურმე ონკანი ღია დამრჩენია და დაბლა სართულზე წყალი ჩასულა.

დაბლა რომ ჩავედი, იქვე სასწორი იდგა და მოდი, ბარემ ავინონები-მეთქი, ვიფიქრე. 56 და 300 გრამი აღმოვჩნდი, ჩემს წონაზე ზუსტად 300 გრამით მეტი! ჩამაცვეს, ჩამფუთნეს და აბანოში წამაჩიკჩიკეს წონის დასაგდებად. შვიდი კილო ისე დავიკელი, არ მიგვრძნია, მაგრამ ამ 300 გრამმა ჩემი სული წაიღო.

დადგა შეჯიბრების დრო, გავდივარ ფიცარნაგზე, მაგრამ რითი, ფორმა არა მაქვს. ყველაფერი ხომ სასტუმროში, ბულონის ტყეში დავტოვე. იმის დროც არ არის, რაღაც მოვიფიქრო, ამ ჩვენს ხელმძღვანელობას ტაქსის ფული დანანა, ჩემთვის ტანსაცმელი რომ მოეტანა. ბედად, ხანუკაშვილი იქვე იყო და იმისი ტრიკო, ფეხსაცმელი, ფორმა ჩავიცვი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მეხამუშება, მაინც სხვისი ტანსაცმელი მაცვია, მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არა მაქვს. ისა მწყინდა, ეს ირანელი მაჰმუდ ნამდიუ, ვინც მერე ჩემპიონი

გახდა, აბანოში პირსახოცებს, რომ იტყვიან, ცხვირსახოცივით იცვლიდა, მე კი საუნაში ერთი პირსახოცის ამარა შევდიოდი და გამოვდიოდი.

საბოლოო ანონვის შემდეგ, სტარტის წინ ტკბილი ჩაი დავლიე — საუნიდან ახალგამოსულს ძალის მომატება, გამხნელება მჭირდებოდა. დაიწყო შეჯიბრება და ნამდიუმ 90 კილოგრამი აჭიმა, მაგრამ პირველობისთვის ეს არ იყო საკმარისი, ამ დისციპლინაში ამერიკელმა დიე პეტრომ იმარჯვა — 95-კილოგრამიანი სიძიძიე დაძლია. მე მხოლოდ 87 კილოგრამს მოვერიე.

სამაგიეროდ ატაცში შევწვდი ახალ მსოფლიო რეკორდს — 97,5, მაგრამ რა, ახლა უკვე იმ ტკბილი ჩაის გრამებმა დამალალატა, თუმცა პირველობა მაინც მოვიპოვე. ნამდიუს შემდეგი იყო 95 კგ, პეტროსი — 90.

ახლა აკვრა. პირველ მისვლაზე 120 კილო ავკარი, მეორეზე 125 კილოგრამი შევეუკვეთე, მაგრამ ვარჯიში ვერ შევასრულე, მესამე ცდაზე უკვე 127,5-ს დავეჭიდე. შტანგა გულზე დავიდე, აკვრას აღარაფერი აკლდა და მჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ვხვდებოდი, მაგრამ სწორედ ამ დროს რალაც ნერვული კრუნჩხვა დამემართა, ფეხი გამიკავდა, ტკივილისგან ავლრიალდი და მანამდე ვერ დავმშვიდდი, სანამ ექიმმა კუნთში წამალი არ შემეყვანა. მაგრამ რა, ყველა ცდა ამონურული იყო და ასე აღმოვჩნდი მესამე ადგილზე. ირანელი სპორტსმენის შედეგი იყო 125 კგ, ჩემი — 120, ამერიკელისა — 115.

ასე და ამრიგად, როგორც ვთქვი, სამჭიდის ჯამში მაჰმუდ ნამდიუს ჰქონდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი — 310 კილოგრამი, მე 305 დავავაროვე, დიე პეტრომ — 295.

თუმცა ლოპატოვის ჯავრი მაინც ვიყარე, თავის წონაში ის მხოლოდ მესამე იყო“.

მაგრამ რაფაელ ჩიმიშკიანი პარიზიდან მაინც დაბრუნდა ოქროს მედლით მკერდდამშვენებული. საქმე ის არის, რომ იმ წელიწადს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ერთდროულად მოეწყო და თბილისელი ათლეტი ევროპის სპორტსმენებს შორის საუკეთესო იყო. თუმცა, თავის წონაში, 60 კილოგრამში რომ ეასპარეზა, როგორც თავად ამბობს, ჩემპიონიც გავხდებოდი და მსოფლიოს სამ რეკორდსაც დავამყარებდიო.

ცალკე იმაზე წუხს, რომ ფაქტობრივად, პარიზი არ უნახავს — არც ლუგერი, არც ვერსალი, არც სხვა დანარჩენი... პარიზში მისი მთავარი საზრუნავი ზედმეტი წონის მოცილება იყო, სასეირნოდ სად ეცალა!


მსოფლიო რეკორდის  
დამყარებისას.  
ვენა, 1954 წელი



სსრ კავშირის გუნდური  
ჩემპიონატის მონაწილეები:  
შოთა წივნივაძე,  
ალუში ჩილინგაროვი,  
გრიგორ ნოვაკი,  
რაფაელ ჩიმეშკიანი  
და იური დუგანოვი.  
თბილისი, 1950 წელი







*მძიმეწონოსანმა ალექსეი მედედევემა იოლად აიტაცა ხაიმ ხანუკაშვილი და რაფაელ ჩიმიშვიანი. 1950 წელი*



*სსრკ — აშშ-ს ძალოსანთა საერთაშორისო მატჩის მონაწილეები, ოლიმპიური ჩემპიონები — ისაკ ბერგერი და რაფაელ ჩიმიშვიანი. თბილისი, 1961 წელი*

მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლი და ევროპის ჩემპიონის ტიტული, რა თქმა უნდა, დიდი წარმატება იყო. მკითხველისთვის უკვე ადვილი წარმოსადგენია, რა ხდებოდა, როცა რაფაელი თბილისში ჩამოვიდა — მომლოცველებსა და თაყვანისმცემლებს ახლა მარიაც შეემატა, ურომლისოდ ცხოვრებაც მას უკვე წარმოუდგენლად მიაჩნდა.

რაც ძალოსნობაში ვარჯიში დაიწყო, ზემელიდან ბესიკის ქუჩის დარბაზამდე მუდამ ფეხით მიდიოდა, ახლა კი, როცა მთელ რუსთაველზე წამდაუნუმ აჩერებდნენ, ულოცავდნენ, ათას რამეს აამბობინებდნენ, ერთი-ორჯერ ვარჯიშზე დაიგვიანა, რაც მისთვის უჩვეულო რამ იყო. ამიტომაც გადაწყვიტა, ტროლეიბუსით ვივლიო.

იმ პერიოდში ჩიმიშვიანს სომხეთის დელეგაცია ეწვია მაცდური წინადადებით — გადმოდი სომხეთში, ცენტრალურ, აბოვიანის ქუჩაზე ოროთახიან ბინას მოგცემთ, სამ თვეში კი ახალაშენებულ სახლში სამოთახიან ბინაში გადაგიყვანთ და კარგ ხელფასსაც დაგინიშნავთო.

„რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, თბილისში დაბადებულ-გაზრდილი კაცი სად წავიდოდი, სომხეთში რა მიხდოდა, როცა მთელი ჩემი სამეგობრო-საძმაცო თბილისში მყავდა. მერე, ნახევრად ხომ ქართველი ვარ!

უფრო ადრე, 1949 წელს „დინამოს“ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი სამუშიამ შემომთავაზა, გვარი შეიცვალე, დედის გვარზე გადადი და ერთ კვირაში პასპორტს შეგიცვლიო. მე ვუთხარი, ბატონო დიმიტრი, არ გამოვა ეგ საქმე, ახლა რალა დროსია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ვარ, ყველა მიცნობს, როგორც რაფიკა ჩიმიშვიანს, ჩემს ბიჭებს რა ვუთხრა, ან კიდევ, მამაჩემი ცოცხალია, დღეს თუ მას ვულალატი, ხვალ თქვენ გილალატებთ-მეთქი. სამუშიამ შუბლზე მაკოცა და მითხრა: დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, მერე ინანებო. არაფერიც არ მიანანია, ტყუილა შიშობდა ბატონი დიმიტრი“.

1950 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში სსრ კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა. ჩიმიშვიანის მთავარი ამოცანა იმ ლოპატინისთვის ჭკუის სწავლება, მისი უშუალოდ დამარცხება იყო. ასეც მოხდა — სულ თამაშ-თამაშ მოუგო და ჩემპიონის ტიტულს ერთხელ კიდევ დაეპატრონა.

ახალი წლის წინ კი, 29 დეკემბერს დიდი სიხარული ეწვია ჩიმიშვიანების ოჯახს — რაფაელმა 21 წლის ასაკში იქორწინა მარია თამაზიანზე და მართლაც

ბედნიერი ოჯახი შექმნა. მის ქორწილს კი ცნობილმა მოკრივემ და სპორტულმა მოღვაწემ, განთქმულმა ტოლუმბაშმა ანდრო ნავასარდოვმა უთამადა.


„არ გაინტერესებთ, სად წავიყვანე ჩემი კნეინა საქორწინო მოგზაურობაში? 1951 წლის დამდეგს საქართველოს პირველობის მოგების შემდეგ რესპუბლიკის ნაკრები კაუნასში გაემგზავრა, საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. მარიაც თან ვიახლე. ლიტვაში ერთი თვე დავყავით. რაც შეეხება ჩემპიონატს, ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში გამოვდიოდი. ჩემს წონაში ყველაზე ძლიერი სამსონოვი და უდოლოვი იყვნენ. მართალია, ჩემპიონობა მოვიპოვე, მაგრამ ტრავმაც მივიღე. პირველი წონა აკაკარი, 130-კილოგრამიანი შტანგა იყო. ცოტა უხერხულად დაუშვი. მახსოვს, რუსმა მსაჯმა, კრილოვმა დამიძახა და მითხრა, თუ კიდევ დააგდებ შტანგას, შეჯიბრებიდან მოგხსნიო. ბოდიში მოვუხადე, უნებურად მომივიდა-მეთქი. მეორე ცდაზე უკვე 140-კილოგრამიანი შტანგა აკაკარი, გულზე ჩამოვიდე და ფიცარნაგზე დავდე. ჩამოვედი და სავარჯიშო ოთახში შევედი, ჩავჯექი, ბუქნი გავაკეთე და ველარ გავიმართე, წელი გამიკავდა, ისე მტკიოდა, რომ ძალოსნური ბანდაჟი ვერ მომხსნეს და სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, იატაკზე დავნექი და ვერ ვინძრეოდი. ექიმებმა საკაცზე დამანვინეს და სასტუმროში რომ ამიყვანეს, ძლივს გადამაგორეს საწოლზე.

...იცოცხლე, რუსები მეცხრე ცაზე დაფრინავდნენ, საქსონოვსა და უდოლოვს თითო ცდა კიდევ ჰქონდათ, მაგრამ ღმერთი მაღალია, მე ვერ შემწვდნენ და ასე გავხდი ჩემპიონი. რა თქმა უნდა, დაჯილდოებაზე ვერ მივედი და ოქროს მედლის წამოსაღებად ჩემი მარია გავაგზავნე. თავის წონაში სვეტილკოც გახდა ჩემპიონი“.

51-ის ზაფხულში ბერლინში მესამე მსოფლიო ფესტივალი გაიმართა. მეგობრები — გივი კარტოზია, ამურ ციმაკურიძე და რაფო ჩიმიშკიანი ოქროს მედლებით დაბრუნდნენ. ჩიმიშკიანმა ფესტივალის სამი რეკორდიც დაამყარა.

ახლა კი ერთ კურორტულ ამბავს მოგიყვებით.

მატარებლის ბაქანზე რომ გამოვიდნენ, ნოდარ ჯორჯიკიამ სთხოვა, რაფო-ჯან, ხელი მტკივა, მოდი, ძმურად, მომეხმარე ამ ჩემოდნის თრევაშიო. მოგიკვდეს ჩემი თავიო, უპასუხა რაფაელმა, დაავლო ნოდარისა და თავის ჩემოდნებს ხელი და არხეინად მისეირნობს, ვითომც ბამბა ეჭიროს.



რაფაელ ჩიმიშვიანი  
სსრ კავშირის ხალხთა  
I სპარტაკიადაზე.  
მოსკოვი, 1956 წელი

უცებ გაიგონა, მის ზურგსუკან, ვილაცამ გაკვირვებით რომ ჰკითხა ჯორჯიკიას: „Нодар Константинович, а где Ваш чемодан? Я нанял носильщика, вон, впереди идет“, — უპასუხა ბატონმა ნოდარმა. ეს რომ რაფაელმა გაიგონა, უცებ წამოჭარხლდა, გემრიელად შეუკურთხა, თავისი ჩემოდანი მიუგდო და ვაგონისკენ განაგრძო გზა.

არა, განა მენყინა, ასე ვიყავით ერთმანეთში შეხუმრებულიო, დააყოლა ბატონმა რაფაელმა.

„ერთი „ჭიჭიკო მოსკვიჩი“ მყავდა, 1949 წელს ვიყიდე და იმითი დავსეირნობდით ხოლმე ბიჭები. განსაკუთრებით მე და გივი კარტოზია ვიყავით სულ ერთად“...

იმ პერიოდში 21 წლის ჩიმიშკიანს სამხედრო კომისარიატიდან უწყება მოუვიდა, ჯარში იწვევდნენ. ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა, კაცი სპორტულ სარბიელზე ზენიტში იყო და ჯარში წასვლა უნდოდა?! დაიმალა, მაგრამ იმათ რას დაემალეობდი, ქვესკნელში ჩამოგყვებოდნენ და იქ გიპოვნიდნენ. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მამა დაიბარეს მილიციაში და დააკავეს: სანამ შენი შვილი აქ არ გამოცხადდება, აქედან ვერ გაგიშვებთო. აბა, ჩემს გამო მამაჩემს ხომ არ ვაყურყუტებდი მილიციაშიო და... იძულებული გახდა, ბედს შეეუებოდა.

დადგა გამგზავრების დღე, როგორც ყველა ახალწვეული, რაფაელიც „ნულზე“ გადაპარსეს და ნავთლულში დაიბარეს. სატვირთო ეშელონით ხაშურში ჩაიყვანეს, საიდანაც ახალწვეულები უნდა გაენანილებინათ.

სანამ ეშელონი ხაშურს ჩააღწევდა, რაფაელის დედა და მეუღლე თხოვნით მივიდნენ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან ალექსანდრე ფარულავასთან და „დინამოს“ საბჭოში, სამუშაოსთან, ბედად, იმათაც დროულად იმოქმედეს, საქართველოს სამხედრო კომისართან იშუამდგომლეს, ბოლოს კი საქართველოს ცეკას პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანიც ჩაერთა საქმეში. სწორედ მას გაუცია განკარგულება, რაფაელ ჩიმიშკიანმა სამხედრო სამსახური საქართველოში მოიხადოსო.

ერთ კვირაში უკვე მოსკოვიდან გამოიძახეს შეკრებაზე, პოლონეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ, სსრ კავშირ-პოლონეთის მეგობრობის ფესტივალზე. იქაც დამაჯერებლად გამოვიდა და ყველას სოლიდური უპირატესობით აჯობა.

„კრაკოვის სასტუმროში ჩემს უფროს მეგობართან, მამია ჟღენტთან ერთად ვარ. ქვემსუბუქ წონაში შეჯიბრება წინა დღეს გაიმართა, მერე მამიას უწევდა გამოსვლა და ისიც საგულდაგულოდ ემზადებოდა. წყალი მოსწყურდა, მაგრამ შეეშინდა — ყველა ზედმეტი გრამი წონაზე მოქმედებდა. ბრონეულის ნვენს დავლევო, მითხრა. ნომერში დანა ვერ ვიპოვეთ, სხვა რა გზა იყო, ბრიტვით დაიწყო ბრონეულის გაჭრა. უცებ ბრიტვა აუცდა და ხელი გადაისერა. ჭრილობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო. თავს იკლავდა, ეს რა დამემართა. ასეთი სისულელის გამო შეჯიბრებაზე ვერ გავდივარო. არადა, ძალიან კარგად იყო მომზადებული და საბჭოთა კავშირის რეკორდს უმიზნებდა. რაღას იზამდა.

სალამოს რესტორანში ჩავედით, იქ ვსადილობდით ხოლმე. მუსიკოსებმა ორი უღვაშებიანი კაცი რომ დაინახეს, იფიქრეს, ქართველები იქნებიანო და „სულიკო“ დაუკრეს. უცებ მშობლიურ გარემოში ამოვყავით თავი და მამიამაც პირველად მაშინ გაიღიმა“.

ოლიმპიადის წინა წელს ჩიმიშკიანმა საბჭოთა კავშირის პირადი ჩემპიონატიც მოიგო (საქსონოვს აქაც აჯობა) და „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაც. ამის შემდეგ ბაქოში საკავშირო გუნდურ ჩემპიონატშიც გაიმარჯვა და ეს წელიწადიც ასე დასრულდა.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკში მივადექით 1952 წელს, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების წელს. მარტის ქარმა წამოუბერა და ბინაში შევედით, სადაც რაფაელიც სტუმრად იყო — თავის ქალიშვილთან და ძმისშვილთან. მასპინძლებმა ალბომი გადმოიღეს და ძველი ფოტოების თვალიერებას შევუდექით. ბატონ რაფაელს შიგადაშიგ ცრემლი მოანევა, გული ამოუჯდება, ერთს ღრმად ჩაისუნთქავს და ისევ განაგრძობს საინტერესო ამბების მოყოლას...

რამდენიმე დღეში ისევ შევხვდით ერთმანეთს, ახლა უკვე პასტერის ქუჩაზე, სადაც ამჟამად ცხოვრობს ბატონი რაფაელი. და მოუშვა ხურჯინს.

...1952 წელს საბჭოთა კავშირის პირადი ჩემპიონატი ივანოვოში გაიმართა. როგორც სპორტსმენთა უმრავლესობას, რაფაელ ჩიმიშკიანსაც მუდამ წონის პრობლემა ჰქონდა და რომელ ქალაქშიც თუ ქვეყანაშიც არ ჩავიდოდა, ასპარეზობის დაწყებამდე აბანოდან არ გამოდიოდა. ივანოვოში ამის გამო სერიოზული პრობლემა შეექმნა, წონა ვერაფრით დაირეგულირა და... საქსონოვთან წააგო, მეორე ადგილი დაიკავა.

ერთი თვის შემდეგ, ივნისში, ორკვირიან გაფართოებულ შეკრებაზე გამოიძახეს სოჭში. იქ თავი მოიყარეს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებმა ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში. იქიდან კი გუნდების პირველი-მეორე ნომრები ვიბორგში გაგზავნეს, სანკტ-პეტერბურგთან ახლოს. საქართველოდან საკავშირო ნაკრებში უნინ ექვს წონით კატეგორიაში ოთხ თბილისელ ძალოსანს იძახებდნენ ხოლმე — კასიანიკს, სვეტილკოს, ჟლენცსა და ჩიმიშკიანს, მაგრამ 1952 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდში მარტო რაფაელი დარჩა, ვეტერანებმა თანდათან დათმეს პოზიციები და საბოლოოდ დატოვეს ფიცარნაგი.

მოგეხსენებათ, ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტსმენებს საგულდაგულოდ არჩევენ. 1952 წელს კი საბჭოთა სპორტული დელეგაცია პირველად მონაწილეობდა ოლიმპიადაში და ამიტომაც მწვრთნელ-სპეციალისტები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ თითოეულ კანდიდატურას. მით უმეტეს, კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელებს კონკრეტული დავალება მისცა: გუნდური პირველი ადგილი! ამ დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში უმკაცრესი სასჯელი გარდუვალი იყო.

„ვიბორგში, ჩვენი სასტუმროს ქვეშ, ფირფიტების მაღაზიასთან და გასტრონომთან ქართველების „ბირჟა“ იყო. თავისუფალი დრო თუ გამოგვიჩნდებოდა, იქ ვიკრიბებოდით ხოლმე. ძველად პატარა ფირფიტებს უშვებდნენ, ძვირიც არ ღირდა. ჰოდა შევიძინეთ ქართული სიმღერების ფირფიტები და ვუკრავდით პატეფონზე, ბოლომდე ანეული ხმით. გამვლელები გაკვირვებულები იხედებოდნენ ზემოთ, საიდანაც მათთვის უცხო მუსიკის ხმა ისმოდა. ერთი თვე ისე გავიდა, ვერც ვიგრძენით. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ თეთრი ღამეების პერიოდი დაგვემთხვა და ღამის 3-4 საათამდე მთელი ქალაქი დღის სინათლით იყო განათებული.

ახალგაზრდები ვიყავით, სისხლი გვიდუღდა, შუალამემდე ქუჩაში დავბორიალობდით და ერთ დღესაც ტანში რალაცა ვიგრძენი, ამ ჩვენს ნომერსაც ოთხი ფანჯარა ჰქონდა და ალბათ ორპირმა ქარმა გამკრა — გავცივდი, სიცხემ ამინია, მაგრამ არ ვეპუებოდით და ეს გაციება ფილტვების ანთებაში გადაიზარდა, ლოგინად ჩამავდა. ჰელსინკში გამგზავრებამდე კი, ფაქტობრივად, აღარაფერი რჩებოდა“.

როგორც ავადმყოფი, ბოლო ვაგონში გაამწესეს, მედნაწილში, რომელსაც გარედან „Красный Крест“ ეწერა და დიდი წითელი ჯვარი ეხატა. რაფაელის გაცივებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იქ ჭიდაობის ლეგენდა, არსენ მეკოკიშვი-

ლი დახვდა. არსენს თურმე ალერგია ჰქონია და მთელ ტანზე გამოუყრია. „არსენ ბიძია, ეს რა დაგმართნია“, — უკითხავს რაფაელს გულუბრყვილოდ. „ძია მეორედ აღარ დამიძახო, თორემ თავს წაგაცლი, — დაუცაცხანებია 40 წლის არსენს, მერე კი მოფერებია, „ნუ გეშინია, რაფო, გული არ დაგწყდეს, ძია არსენა არ ვიყო, დედა თუ არ ვუტირე ყველას, აი, ნახე, რომ დავბრუნდებით, მე და შენ პირველი ვაგონით ვიმგზავრებთ“. არსენ მეკოკიშვილი იმ დროს მოსკოვში ცხოვრობდა და ამ ქალაქის სახელით გამოდიოდა.


როგორც იქნა, ჩააღწიეს ატანემეში, ოლიმპიურ სოფელში.

„ყველას დაგვირიგეს ტალონები სადილისთვის. საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა სპორტული შტაბის ხელმძღვანელმა ნიკოლაი რომანოვმა განკარგულება გასცა, რომ სანიტარულ ვაგონში მყოფი სპორტსმენებისთვის, ვისაც გამოჯანმრთელება სჭირდებოდათ, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური გუნდის სანიტარული ნაწილის უფროსი წარმოშობით თბილისელი ებრაელი იყო, ახალგაზრდა კაცი ნიკოლაი კობალევესკი, რომელიც მოსკოვში მუშაობდა ექიმად. ოლიმპიურ სოფელში კი კვების საკითხებსაც განაგებდა.

მივედი მასთან, გამოვეცნაურე. ჩემებურად „წავიშუსტრე“. კობალევესკიმ წიგნაკი გამომართვა და ზედ რაღაც წააწერა. იმდენი შოკოლადი მომაყარეს, ერთი კაცი კი არა, მთელი ბატალიონი ვერ მოერეოდა. რაც მინდოდა, სულო და გულო, ყველაფერი მოჰქონდათ — ხიზილალა, თაფლი, სხვადასხვა ვიტამინის შემცველი საკვები, ახალი ხორცი... შეჯიბრების დაწყებამდე თანდათან ფერი მომივიდა, მოვმჯობინდი, ნელ-ნელა ვარჯიშს შევუდექი. ცოტა ხანს ვივარჯიშებდი, მერე აბანოში შევიდოდი და 200-300 გრამს დავიკლებდი. ასეთი რეჟიმით რამდენიმე დღეში უკვე ჩვეულ ფორმაში ჩავდექი და იმედიც მომეცა, რომ ფიცარნაგზე კარგად გამოსვლას შევძლებდი. არადა, მატარებელში ძია არსენამ რომ მითხრა, ოლიმპიადაზე გავიმარჯვებთ და პირველ ვაგონში გადავსხდებითო, ცოტა არ იყოს, უნდობლად შევხედე: ნეტა რას ამბობს ეს კაცი, მართლა ხომ არ დაბერდა-მეთქი“.

ერთი საინტერესო რამ მოხდა ოლიმპიურ თამაშებზე. ჰელსინკში, ჩიმიშკიანის წონით კატეგორიაში ერთბაშად სამი ძალოსანი წაიყვანეს — თავად რაფაელი, საქსონოვი და მაზურენკო. აქედან ფიცარნაგზე გასვლის უფლება მხოლოდ ორს ჰქონდა, ანუ, ერთი სათადარიგო იყო.





ზედა ფოტო 1956 წელს  
ჩელიაბინსკში  
გადაღებული,  
ქვედა მარცხენა  
ფოტო — ბაკურიანში,  
მარჯვენა ფოტო კი  
1957 წელს — თეირანში

მწვრთნელებმა კარგად იცოდნენ, რომ რასაც ჩიმიშკიანი ვარჯიშზე დასძლევდა, შეჯიბრების დროს აუცილებლად იმაზე მეტს გააკეთებდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა. მაგრამ ახლა ამის გახსენება არავის უნდოდა. პირიქით — საბაბს ეძებდნენ, რომ შარი მოედოთ. სულ იმას უჩიჩინებდნენ, საკავშირო პირველობა ვერ მოგიგია და ოლიმპიადაზე როგორ გაგიყვანოთო. სპორტის ნებისმიერ სახეობაში ასე იყო — მეტოქეზე, მით უმეტეს, რუს სპორტსმენებზე, სულ ცოტა, ერთი თავით მაღლა მაინც უნდა მდგარიყავი.

„რალა შორს წავიდეთ, ჰელსინკის ოლიმპიადაზე გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე არ დააყენეს, თუმცა ფინეთში კი წაიყვანეს. ქართველი ფალანგები მართლაც საუკეთესო ფორმაში იყვნენ. გივის წონაში ბელოვმა იჭიდავა, ვახტანგის წონაში კი რიბალკომ. ჩემპიონი ვერც ერთი ვერ გახდა“.

რაფაელ ჩიმიშკიანისთვის ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამოსვლა ბედის წყალობა უფრო იყო და კარგად ესმოდა, რომ, რადაც უნდა დაჯდომოდა, ეს შანსი მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა.

ბოლო ვარჯიშზე მახურენკოს ფეხი გადაუბრუნდა. დარჩნენ ჩიმიშკიანი და საქსონოვი.

ამასობაში თამაშებიც დაიწყო.

„საერთოდ, ძალოსნობაში საბჭოთა სკოლა იყო განთქმული, მთელს მსოფლიოში მეტ-ნაკლებად საბჭოთა სპორტსმენები დომინირებდნენ. მართალია, ჰელსინკის ოლიმპიური თამაშებისთვის ბევრმა ვეტერანმა უკვე მიაწვდინა აქტიურ სპორტს თავი, მაგრამ არც ახალგაზრდები ვჩანდით მათზე ნაკლები. რაც შეეხებათ უცხოელებს, ტრადიციულად ძლიერი ათლეტები ჰყავდათ ამერიკელებს, ბულგარელებს, ფრანგებს, პოლონელებს, გერმანელებს... მაგრამ კონკრეტულად ვის შეეძლო ჩვენთან შებმა, ამას ვერ გეტყვით, ჩვენი მთავარი კონკურენტები უფრო ჩვენივე თანაგუნდელები იყვნენ. თუმცა ის კი გამეგო, რომ ვინმე ტრინიდადელი როდნეი უილკისი სამჭიდში 322,5 კილოგრამს სტაბილურად აჩვენებდა“.

დაიწყო შეჯიბრება და აჭიმვის შემდეგ ფილიპინელი როდრიგო დელ როზარიო დაწინაურდა — 105 კგ, როდნეი უილკისი მეორე იყო (100 კგ), რაფაელ ჩიმიშკიანი — მესამე (97,5 კგ). საქსონოვი ჩიმიშკიანს 2,5 კილოთი ჩამორჩა.

ჩიმიშკიანმა მეორე დისციპლინაში უფრო ივაჟკაცა — 105 კგ აიტაცა და ორი ვარჯიშის შემდეგ 202,5 კილოგრამით უკვე ის ლიდერობდა, საქსონოვი

კუდში მისდევდა — მანაც 105 კგ აიტაცა (ორჭიდის ჯამში 200 კგ). უილკისი კი ჩამორჩა — 100 კგ, მაგრამ ორი დისციპლინის შემდეგ მასაც 200 კილოგრამი დაუგროვდა. როზარიო საერთოდ გამოეთიშა ბრძოლას — ატაცში ვერ ივარგა და სასაცილო წონა დასძლია — 92,5 კგ.

...სწორედ ამ დროს დაემშვიდობნენ რაფაელს მეგობრები — გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე. უკვე ლამის 12 საათი შესრულებულიყო და ოლიმპიური სოფლისკენ ბოლო ავტობუსი გადიოდა. რაფაელს მოგვიანებით უნევდა ფიცარნაგზე შემდეგი გასვლა. სპორტსმენები რეჟიმში იყვნენ და დაგვიანებას არავინ აპატიებდათ. მეორეც, ძალოსანთა დარბაზიდან ისე შორს იყო ოლიმპიური სოფელი, შუა ღამით რომ წასულიყვნენ, დილაზე ვერ ჩააღწევდნენ. გამომშვიდობებისას გივი კარტოზიამ მხარზე მხარი მიადო ჩიმიშკიანს და უთხრა: „ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენ! აბა, რაფო-ჯან, იცოდე, ოქროს მედლის გარეშე არ დაბრუნდე სოფელში, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო ასახელე“...

დადგა მესამე დისციპლინის დროც.

„აკვრაზე, პირველ ცდაზე 132,5 კილოგრამი მოვითხოვე, მეორე ცდაზე 137,5-ს შეუკვეთავდი და 140-ით დავამთავრებდი — ასეთი ჩანაფიქრი მქონდა. თურმე საქმეში ხარ! სანყის წონაზე ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი ნიკოლაი შატოვი თითქოს დამთანხმდა, მაგრამ მერე უჩემოდ შეუცვლია წონა და 130 კილო შეუკვეთავს. გაგბრაზდი, შტანგასთან მისვლას ვუარობდი, მაგრამ მწვრთნელებმა ლამის ძალით გამიყვანეს ფიცარნაგზე. რა უნდა მექნა — გავედი და ავკარი სიმძიმე. საქსონოვმა 132,5 კილოგრამი აკრა და, ესე იგი, უკვე ორნახევარი კილოთი მიგებდა. უილკისი ძალიან ჩამოგვრჩა — პირველ ცდაზე მხოლოდ 120 კგ აკრა.“

მეორე ცდისთვის მე და ჩემმა მწვრთნელმა იზრაილ მეხანიკმა 137,5 კგ მოვითხოვეთ — ვიფიქრეთ, ახლა მაინც დაგვთანხმდებიანო. რუსებმა ისევ არ გამიშვეს და ჩემთვის 135 კილოგრამი გაამზადებინეს. ვნერვიულობ, ნირი წამიხდა, შტანგა გულზე დავიდე და... გამივარდა, ვერ ავკარი. მთელი ძალით ჩავიქნიე ხელი და ქართულად ერთი გემოზე შევიკურთხე. გავგიჟდი, ჭკუიდან გადავედი.

საქსონოვმა ეს ცდა გამოტოვა. უილკისმა პირველ ცდაზე ნაჩვენები შედეგი ორი კილოგრამით გააუმჯობესა.

მესამე ცდაზე ისევ 135 კილოგრამზე ავედი და ავკარი, ანუ ჯამში 337,5 გამომივიდა — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ახალი რეკორდი!

ბრძოლა დავამთავრე, მაგრამ საქსონოვს ბოლო ცდა დარჩა. 140-ზე გაიქაჩა. ამასობაში ტრინიდადელმა სპორტსმენმა 127 კილოგრამი აკრა და შეჯიბრება მესამე ადგილით დაამთავრა.

ღმერთი მაღალია და ყველაფერს ხედავს — საქსონოვმა სიმძიმე ვერ დაძლია და ოქროს მედალი მე დამრჩა, ხუთი კილოგრამით გავაუმჯობესე მსოფლიოს რეკორდი!

იცოცხლე, რუსებმა თავი მოიქაჩლეს, მეხვეოდნენ და მილოცავდნენ, მაგრამ მე ხომ ვხედავდი და ვგრძნობდი, რა ტრიალებდა მათ გულში. საქსონოვისთვის გამზადებული ოლიმპიური ოქროს მედალი მე ჩამომიკიდეს მკერდზე!

გამთენიისას ოლიმპიურ სოფელში რომ დავებრუნდი, ავტობუსიდანვე მოვკარი თვალი მოუსვენრად მოსიარულე ორი კაცის ლანდს. მაშინვე ვიცანი — გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე იყვნენ. უკვე გაეგოთ ჩემი გამარჯვების ამბავი და ჭიშკართან მელოდებოდნენ. როგორც კი ავტობუსის კარი გაიღო, გივი ჩემსკენ გამოქანდა და დაიძახა: რაფო, არ გაბედო და ავტობუსიდან ფეხი არ ჩამოადგაო. მომვარდა, გადამეხვია, კიბეზე ჩამოსვლა არ მაცალა, პირდაპირ ხელში ამიტაცა და ნახევარი სოფელი მხარზე შესმული შემომატარა. ზემოდან ჩამოვძახე: გივი-ჯან, ეს მედალი შენიც არის, შენმა სიტყვებმა ძალა გამიათქეცა-მეთქი. ვახტანგ ბალავაძემ კი ლექსი მომიძღვნა ექსპრომტად. ისეთი გახარებულები იყვნენ, თითქოს მათ მოეპოვებინათ ჩემპიონობა.

მიჭირს ლაპარაკი, ჩემი გივი... სარეცელზე მიჯაჭვულს საავადმყოფოში რომ მივაკითხე, ახლა მე დავადე ხელი და ჩემი ძალა შენ, ჩემი ძალა შენ-მეთქი... ვერ ვუშვებლე, ვერ გადავარჩინე ჩემი ძვირფასი მეგობარი“.

...დილას, საუზმის შემდეგ, საბჭოთა ოლიმპიელები მწყობრში ჩააყენეს და ნიკოლაი რომანოვმა საკავშირო სპორტკომიტეტის ბრძანება ნაიკითხა: რაფაელ ჩინთაიანს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭაო.

აქ ჩემი მასპინძელი ისევ აცრემლდა:

„მაგრამ ეს ბედნიერება მაინც ნაკლები გამოდგა. ზემოთაც ხომ ვთქვი, ჩემი გივი და ჩემი ვახტანგი ჰელსინკის საჭიდაო ხალიჩას არ გააკარეს-მეთქი, არადა, ისე იყვნენ მომზადებული, ყველაფერს ბრძლენიდნენ. მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ვახტანგ კუხიანიძე იყო. ვინ იცის, ვისი რჩევითა თუ წინადადებით (რაც ხშირად ბრძანების ტოლფასია ხოლმე), მან ვერ გაბედა თავისი თანამემამულეების გა-

მოყვანა. ალბათ იფიქრა, ამათ თუ ვერაფერი გააკეთეს, მე მომდგებიან, ქართველი ხარ და ქართველები იმიტომ გააპარპაშეო. კიდევ კარგი, ამურამ და მე-კოკიშვილმა რომ მოიგეს, თუმცა ძია არსენი მოსკოვის სახელით გამოდიოდა.

ცხონებულმა ამურა ციმაკურიძემ და მე თითქმის ერთდროულად მოვიპოვეთ ოლიმპიური ჩემპიონობა. მან ერთი თუ ორი საათით დამასწრო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რომელმა დავასწარით — ორივემ ხომ ჩვენს მშობლიურ საქართველოში ჩამოვიტანეთ ეს ჯილდოები. თუმცა რატომ ორივემ, ჩვენი მზია ჯუღელი იქ არ იყო?! ჩია კაცი კი ვარ, მაგრამ იმხელა ხმა მაქვს — მტრისას! დარბაზში რვა ქალთან ერთად რომ გაიარა, ყველაზე ლამაზი და ეშხიანი მზია იყო და მეც ავტებზე ყვირილი: მზია, მზია! არ დაგავინწყდეს, ქართველი ხარ, თბილისელი, თანაც დინამოელი-მეთქი! უსაზღვროდ ბედნიერი იყო მზია, ამოდენა უცხო ხალხში ქართული სიტყვები რომ გაიგონა!“

ცნობილი სპორტული ჟურნალისტი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა ნოდარ გუგუშვილი ძალოსანთა ოლიმპიურ შეჯიბრებაზე წერდა: „ლამით მშვიდად ეძინა, მაგრამ უცნაურ გუნებაზე გაიღვიძა — თავი დამძიმებოდა, ყელშიც ყრუ ტკივილი შეიგრძნო. შეჯიბრების წინ ავადმყოფობის უფლება არ ჰქონდა. ეს კარგად იცოდა და უსიამოვნო ფიქრები მაშინვე მოიშორა. ყველაფერი წინა დღის შთაბეჭდილებებს დააბრალა, მაგრამ გუშინ ხომ მხოლოდ მაყურებელი იყო? ისე კი ბევრი ინერვიულა და მაშინლა დამშვიდდა, როცა თანაგუნდელი ოლიმპიურ ჩემპიონად გამოაცხადეს. საბჭოთა ძალოსნების წარმატებათა ანგარიში ჰელსინკის ოლიმპიადაზე სწორედ ივან უდოდოვმა გახსნა.“

რაფაელ ჩიმიშვიანმა ოლიმპიურ ფიცარნაგზე გამარჯვების ფასი კარგად იცოდა. თვითონაც არაერთი წარმატება მოუპოვებია დიდ ტურნირებში, მაგრამ ისინი სხვა იყო, იმ გამარჯვებებს ოლიმპიადის ფონზე რიგითი მნიშვნელობა ჰქონდა. დღეს კი...

უდოდოვმა ფაქტობრივად გზა გაკვალა, თანაგუნდელებს მაგალითი მისცა. ახლა მისი და ნიკოლაი საქსონოვის რიგი იყო. უდოდოვს, კაცმა რომ თქვას, ერთი ნამდვილი მონინალმდევე ჰყავდა — ირანელი მაჰმუდ ნამდიუ, მაგრამ საქმე სწორედ ამ „რკინის ირანელის“ დამარცხება გახლდათ.


ნაკრების დაკომპლექტებისას იაკობ კუცენკომ და ნიკოლაი შატოვმა უპირატესობა 28 წლის უდოდოვს მიაკუთვნეს, თორემ სათვალავში ახალგაზრდა ძალოსნებზე ჰყავდათ, თუნდაც ბაქირ ფარხუდტინოვი ან რობერტ რომა-



ოლიმპიური კვარცხლბეკი:  
ნიკოლაი საქსონოვი,  
რაფაელ ჩიმიშკიანი და  
როდნეი უილკინსი.  
ჰელსინკი, 1952 წელი



საქართველოს  
საუკეთესო  
ძალოსნები



სსრ კავშირის ნაკრები.  
პირველ რიგში,  
მარცხნიდან პირველი —  
რაფაელ ჩიმიშვიანი.  
1950 წელი

ნი. გამოცდილი უდოდოვი უფრო საიმედო კანდიდატად ეჩვენათ ნამდიუსთან ბრძოლაში და არც შემცდარან. საბჭოთა ძალოსანს მხოლოდ პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში გაუჭირდა, მერე კი მეტოქე საგრძნობლად ჩამოიტოვა — მთელი 7,5 კილოგრამით. გუნებანამხდარმა ირანელმა კინალამ მეორე ადგილიც დაკარგა, მაგრამ ეს უკვე მისი სადარდებელი იყო.

გუშინ რაფაელ ჩიმიშკიანი მეგობარს მთელი გულით ქომაგობდა, დღეს კი მისი ჯერი დადგა, მისი და კიდევ ნიკოლაი საქსონოვისა. საბჭოთა მწვრთნელებს ქვემსუბუქი წონის განაცხადში სწორედ ეს ორი ძალოსანი ჰყავდათ შეყვანილი, რაც ნესდებით დაშვებული იყო.

ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ქვესაშუალო და მძიმე წონებში მონაწილე არ გამოეყვანათ და მათს ანგარიშზე ქვემსუბუქი და საშუალო წონები გაამაგრეს. ანგარიში მარტივი იყო — ამ ორ წონაში ოთხი ოლიმპიური მედალი საბოლოოდ გადაწყვიტდა გუნდური გამარჯვების ბედს. ოღონდ გაორებულ წონებში უმედლოდ არავინ უნდა დარჩენილიყო.

მარტში ივანოვოში 27-ე საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა. ამ ჩემპიონატში დადგინდა საბოლოოდ ჰელსინკის ოლიმპიადაზე გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობა. ქვემსუბუქი წონაში ოქროს მედალი სვერდლოვსკელმა ნიკოლაი საქსონოვმა მოიგო. რაფაელ ჩიმიშკიანი აქ მეორე იყო. გუშინდელი მეტოქეები დღეს ერთ გუნდში გაერთიანდნენ იმის იმედით, რომ პირველ და მეორე ადგილებს ერთმანეთში გაინაწილებდნენ. მწვრთნელებს სრულებით არ აინტერესებდათ, ვის ერგებოდა ოქრო და ვის — ვერცხლი. მთავარი იყო, რომ ეს ჯილდოები ხელიდან არ გაგვეშვა.

ჰელსინკის ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე ქვემსუბუქი წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ეგვიპტელი საიდ გოუდა გახდა. იგი აქაც ფავორიტთა შორის ირიცხებოდა. გოუდა მართლაც დიდებული ძალოსანი და უდრეკი მებრძოლი იყო, მაგრამ მეორე „დიდი ეგვიპტელის“, მსოფლიოს ორგზისა და ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონის მაჰმუდ ფაიადის ჩრდილში გამუდმებით ყოფნამ საშუალება არ მისცა ბოლომდე გამოემჟღავნებინა თავისი ნიჭი. ეს ის შემთხვევა გახლდათ, როცა დიდი მასწავლებლის სახელი ხელს უშლის მონაფის წარმატებას. მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ გოუდამ ზედიზედ რამდენიმე ტურნირი წააგო და რეპუტაციაც შეერყა. ახლა იგი ავტორიტეტის აღდგენას ლამობდა.



ამასობაში ქვემსუბუქ ნონას ახალი ვარსკვლავი „შემოეკედლა“ — ტრინიდადელი როდნი უილკინსი, რომელიც სამჭიდში 322,5 კილოგრამს სტაბილურად აჩვენებდა და საჭიროების შემთხვევაში ალბათ მეტსაც ასწევდა. ამ „ახალგამომცხვარი“ ტრინიდადელის უყურადღებოდ დატოვება არამც და არამც არ შეიძლებოდა.

... პირველი მოძრაობა — აჭიმვა. ჩიმიშკიანმა ჯერ 90 კილოგრამი დაძლია, მერე — 95 და ბოლოს 97,5. საქსონოვი 95 კილოგრამზე შეჩერდა. ტრინიდადელმა ორივეს გაუსწრო (100 კგ), მაგრამ არც ეს შედეგი აღმოჩნდა საუკეთესო. აჭიმვაში პირველი ადგილი ფილიპინელმა როდრიგო დელ როზარიომ დაიკავა — 105 კგ. აი, კიდევ ერთი, ახალგამომცხვარი კონკურენტი. თუმცა სანერვიულო და საგანგაშო ჯერ არაფერი იყო. ჩიმიშკიანსაც და საქსონოვსაც მდგომარეობა მომდევნო, ტექნიკურად უფრო რთულ მოძრაობებში უნდა გამოეკეთებინათ. ატაცი და აკვრა „მათი მოძრაობა“ იყო.

ატაცი ჩიმიშკიანმა 97,5 კილოგრამით დაინყო. საქსონოვი ბრძოლაში ჩაება 100 კილოგრამზე. მეორე მისვლაზე თბილისელმა 102,5 კგ დასძლია. საქსონოვმა ნონა 105 კილოგრამამდე გაზარდა, მაგრამ შტანგა ვერ დაიმორჩილა. ეს ცუდი ნიშანი გახლდათ. ერთი წარუმატებელი ცდაც და ჩვენი ნაკრების გეგმები წყალში ჩაიყრებოდა. მესამე მისვლა საქსონოვმა ადრინდელი ნონის ფიქსირებას მოაწვდოდა და, როგორც იქნა, მიზანს მიაღწია. 105 კილოგრამი ჩიმიშკიანმა შედარებით იოლად დასძლია.

მეორე მოძრაობის შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა როზარიო — აღმოჩნდა, რომ ატაცში სუსტი ყოფილა (92,5). უილკინსმა ამჯერადაც 100 კილოგრამი ასწია და ორი მოძრაობის ჯამში (200 კილოგრამით) მესამე ადგილზე დამკვიდრდა. 200 კილოგრამი ჰქონდა დაგროვილი საქსონოვსაც, მაგრამ იგი ტრინიდადელზე ოდნავ მსუბუქი იყო და ეს გარკვეულ უპირატესობას აძლევდა. ჩიმიშკიანმა 202,5 კილოგრამით ხელთ იგდო ლიდერობა.

აკვრა ძალოსნობაში ბოლო, გადამწყვეტი მოძრაობაა და ხშირად ბრძოლის ბედს აქ მოპოვებული წარმატება ან წარუმატებლობა განსაზღვრავს. ვინც გამარჯვებას ლამობს, გარკვეულ რისკზე სწორედ აქ უნდა წავიდეს. საქსონოვმაც მდგომარეობის გამოსწორება, ეს უკვე მეორედ, აკვრაში სცადა.

ჩიმიშკიანმა პირველ მისვლაზე 130 კილოგრამი ასწია, საქსონოვმა კი — 2,5 კილოგრამით მეტი (ჩიმიშკიანთან იგი სწორედ 2,5 კილოგრამს აგებდა). მე-

რე ჩიმიშკიანმა წონა 135 კილოგრამამდე გაზარდა, მაგრამ შტანგა ვერ დაიმორჩილა, თუმცა მეორე ცდაზე მაინც აისრულა წადილი.

საქსონოვი კი... ერთბაშად 140 კილოგრამს „დაეძგერა“, ვინაიდან ოქროს მედალს მხოლოდ ამ ვეებერთელა სიმძიმის აკვრა მისცემდა. მაგრამ საამისოდ იგი არ იყო მომზადებული და საბოლოოდ 132,5 კილოგრამს დასჯერდა.

შუალამე გადასული იყო, როცა შეჯამდა მძიმე, ექვსაათიანი ბრძოლის შედეგები. თუმცა, რა იყო შესაჯამებელი — ჩიმიშკიანის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მსაჯებს ერთი ფორმალობა უნდა შეესრულებინათ: აწონონათ შტანგა, რათა თბილისელის შედეგი სამჭიდის ჯამში (337,5 კგ) ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს რეკორდად გამოეცხადებინათ. ამას კიდევ დამატებით ნახევარი საათი დასჭირდა, მაგრამ ჩიმიშკიანი და საქსონოვი უკვე იღებდნენ მილოცვებს, პირველი როგორც ჰელსინკის ოლიმპიადის ჩემპიონი, მეორე კი — როგორც ვიცე-ჩემპიონი“.

ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური დახურვით არ დამთავრებულა ყველაფერი. არსენ მეკოკიშვილის ნათქვამი გამართლდა — ოლიმპიური ჩემპიონები ჰელსინკი-მოსკოვის მატარებლის პირველ ვაგონში მოათავსეს და გზაში ყურადღება არ მოუკლიათ. მერე იყო მოსკოვი-თბილისის მომქანცველი და მოლოდინით აღსავსე გზა. სამტრედიის სადგურში, ბაქანზე, ჩვენი სპორტსმენების საპატივცემულოდ უზარმაზარი სუფრა გაშალეს. სამტრედიელები ვაგონებში ავიდნენ და დიდი პატივით ჩამოაბრძანეს ოლიმპიელები.

სახელდახელო სუფრას სახელდახელო სადღეგრძელოები მოჰყვა. გივი კარტოზიამ რომ შეხედა მატარებლის ფანჯრებიდან ფართოდ გახელილი თვალებით მაცქერალ და ნერწყვმომდგარ რუს მგზავრებს, დიდიან-პატარიანა სუფრასთან იხმო.

„მეტი რა უნდოდათ რუს ტურისტებს. დათვი რომ თაფლიან კასრში ჩაძვრება, ისე ჩაყვეს თავე ამ პურმარილში და... თბილისში რაღა გვინდა, აქ დავრჩებით“.

ქეიფი ორ-სამ საათს გაგრძელდა. აბა, ამდენი ხნით ამხელა შემადგენლობის დაკავება როგორი საქმე იყო და რკინიგზის ხელმძღვანელობაც აფორიაქდა, სტუმარ-მასპინძლებს დიდი მობოდიშებით დაუნყო თხოვნა, მატარებლის გაჩერება მეტხანს აღარ შეიძლება და მოდით, დავამთავროთ სუფრა და ჩვენს სახელოვან ოლიმპიელებს გზა დავულოცოთ, ეს პურმარილი კი საგზლად გავატანოთო.

„თბილისის ვაგზალზეც დიდი დახვედრა მოგვიწყვეს, ოღონდ პურმარილი აქ არ ყოფილა. დაგვხდა უამრავი ხალხი, სასულე ორკესტრი, გადმოგვცეს ლამაზი თაიგულები... ხალხის ასეთი სიყვარული დღემდე მომყვება — ნაცნობია თუ უცნობი, ყველა მესალმება და მეც ვცდილობ, არავინ დამრჩეს უყურადღებოდ — ვინმემ არ იფიქროს, ოლიმპიური ჩემპიონია და იბლინძებაო“.

1952 წლის აპრილში, ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე, „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ რაფაელ ჩიმიშკიანის ახალგაზრდა ოჯახს მლეთის ქუჩაზე ერთოთახიანი ბინა გამოუყო და ჰელსინკიდან დაბრუნებული ოლიმპიური ჩემპიონიც, მეუღლესთან ერთად, ვერაზე გადავიდა. მომდევნო წელს კი სამივე ოლიმპიურ ჩემპიონს უკვე ოროთახიანი ბინები გადასცეს უზნაძის ქუჩაზე.

სპორტული ცხოვრება გრძელდებოდა და როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს, რაფაელ ჩიმიშკიანს კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. 1952 წლის ბოლოს მან პრალაში, სსრკ — ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის ტურნირში იასპარეზა და ყველას აჯობა.

მომდევნო წელს კი ქუთაისში, საქართველოს პირველობაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — სამჭიდში 340 კგ დააგროვა. ეს მიღწევა იმითაცაა აღსანიშნავი, რომ ქუთაისში არც მანამდე და არც მას შემდეგ მსოფლიოს რეკორდი არც ერთ სახეობაში არავის დაუმყარებია.

შვედეთში გასამართი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისთვის საბჭოთა ძალოსნები ზვენიგოროდში, მოსკოვიდან 85 კილომეტრში ემზადებოდნენ.

რაფაელ ჩიმიშკიანი მეუღლეს შეჰპირდა, შეკრებაზე წაგიყვანო და პირობაც აუსრულა. მაგრამ იქ ჩასულეებს პირველმა შემხვედრმა ცუდი ამბავი ამცნო: შეკრებაზე მეუღლის ჩამოყვანა სასტიკად იკრძალება, აგერ, მსოფლიოს ჩემპიონის არკადი ვორობიოვის მეუღლე უკან გააბრუნეს და სხვებიც გაგვაფრთხილეს, აქ დასასვენებელი სახლი არ გეგონოთ, შეკრებაა და ცოლების ადგილი არ არისო. რაფაელი იხტიბარს მაინც არ იტყვხდა და — აბა, რაიმეს თქმა გამიბედლონო, იქით იქადნებოდა.

ხოლო, როცა მწვრთნელმაც იგივე გაუმეორა, რაფაელს ასე უპასუხია: ვორობიოვი თავისი სახლიდან ველოსიპედითაც კი ჩამოვა, რა ბევრია 80 კილომეტრი, მე კი 3000 კილომეტრი გამოვიარეო. თან ჩემოდნისთვის ხელი დაუვლია და კარისკენ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადაუდგამს, მწვრთნელი გამოჰ-

რაფაელ ჩიმიშკიანი  
ეგვიპტეში, ადგილობრივი  
სომხური გაზეთის  
თანამშრომლებთან ერთად.  
1954 წელი




ოლიმპიური ჩემპიონები —  
ეგვიპტი მინაევი და  
რაფაელ ჩიმიშკიანი.  
ლენინგრადი, 1960 წელი



სსრ კავშირის ხალხთა  
I სპარტაკიადის გახსნის  
ცერემონიაზე:  
ვახტანგ ბალაფაძე,  
რაფაელ ჩიმიშკიანი  
და გივი კარტოზია.  
მოსკოვი, 1956 წელი



სსრ კავშირის ძალოსანთა  
ნაკრები მსოფლიო  
ჩემპიონატზე.  
ვენა, 1954 წელი



კიდებია: კარგი, კარგი, მაგდენსაც ნუ იზამ, დარჩეს შენი მეუღლე, ოლონდ ადგის სხვა კორპუსში მოვუნახავთო.

„აბა, ცოლს მარტოს ხომ არ გავუშვებდი და მეც გადავედი, გუნდისგან განცალკევებით ვცხოვრობდი. თბილისიდან ბლომად არაყი ჩავიტანე, ჩვენებური, ჭაჭისა და იქაურ მზარეულს ვაჩუქე. ლამის იყო, მოსამსახურედ დავიდგა, სულ დელიკატესებს გვიმზადებდა“.

შეჯიბრებაზე გამგზავრებამდე მეუღლე თბილისში გაისტუმრა, ორი დღის შემდეგ კი გუნდთან ერთად სტოკჰოლმში ჩავიდა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე. ჩიმიშკიანი ცუდ ფორმაში ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მწვრთნელები ისევე აღმაცერად უყურებდნენ.

...დაინყო აჭიმვა. იმ დროს შეჯიბრებას სამი მსაჯი ემსახურებოდა. თეთრ დროშას თუ ასწევდნენ, წონა ჩათვლილი იყო, თუ წითელს აღმართავდნენ — არა.

„შტანგასთან პირველი მე გამომიძახეს და სანყისი წონა იოლად ავჭიმე. მალე საქსონოვის ჯერიც დადგა. შტანგა თავს ზემოთ კი აიტანა, მაგრამ ხელები ისე არათანაბრად ეჭირა, რომ ამის ჩათვლა არანაირად არ შეიძლებოდა. ერთ მხარეს პოლონელი მსაჯი იდგა, მეორე მხარეს — გერმანელი, მთავარი მსაჯი კი კონსტანტინ ნაზაროვი იყო, ცსკა-ს მწვრთნელი. ერთმა მსაჯმა ჩათვალა, მეორემ — არა. ნაზაროვმა, ცხადია, საქსონოვს დაუჭირა მხარი.“

ვინერვიულე და აი, შედეგიც — ატაცში და აკვრაში მხოლოდ სასტარტო წონები დავძლიე. კიდევ კარგი, ნული ქულა არ მივიღე. აჭიმვაში საქსონოვისთვის წონა რომ არ ჩაეთვალათ, 10 კილოგრამით წინ ვიქნებოდი და თავისუფლად მოვუგებდი, თანაც მასზე გაცილებით მსუბუქი ვიყავი. საქსონოვს ოქროს მედალი გადასცეს, მე — ვერცხლისა.

მაგრამ ჯავრი მაინც ვიყარე — იმავე, 1953 წელს, სექტემბერში, სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გაიმართა, საქსონოვიც სწორედ ამ ქალაქიდანაა და თავისი მეგობრები ჰყავდა დარაზმული, რომ ჩემთვის ნერვები მოეშალათ, ყველანაირად ცდილობდნენ, მწყობრიდან გამოვეყვანე. მაინც მოუგე! შემომჩივლა, „ტრუდნო დომა პრაიგრივატო“. მე კი მკვახედ ვუპასუხე: „ნიჩივო, პრივიკაი-მეთქი“.

ძველ პლენხანოვზე, ყოფილ გორკის პარკში ხშირად იკრიბებოდნენ სხვადასხვა თაობის ძალოსნები, მოკრივეები და მათი მეგობრები. იმდენი იყვნენ, ლამის მთელი პლენხანოვი მიჰქონდათ. პარკში საზაფხულო კინოთეატრი იყო

და ფილმებს ხშირად იქ უყურებდნენ. მძიმეწონოსანი მოკრივე მესიკ კალაში-ანი გორკის პარკის ყოჩი იყო, ისეთი დარტყმა ჰქონდა, მტრისას — ერთს რომ მოიქნევდა, სამ კაცს წააქცევდა. ამიტომაც ყველა ერიდებოდა მასთან შებმას. ბაღში ყალთაბანდი ბიჭებიც იყრიდნენ თავს, მერე კინოში რომ შედიოდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ, ხმაურობდნენ, გამომწვევად იქცეოდნენ. მაგრამ კალაშიანის დანახვაზე ერთიანად გამოიძურნებოდნენ ხოლმე გარეთ. „კინოს დირექტორი ისეთი კმაყოფილი იყო, ხანდახან ოც კაცს უბილეთოდ გვიშვებდა“.

1954 წლის 31 მარტს საბჭოთა ძალოსნები ეგვიპტის გზას დაადგნენ, ადგილობრივ ნაკრებთან ამხანაგური მატჩის გასამართად. გაპარტახებულ-ომგადახდილი საბჭოეთიდან ეგვიპტეში რომ მოხვდნენ, თავი სამოთხეში ეგონათ. შეჯიბრებები ქაიროში და ალექსანდრიაში იმართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი იყო, დედაქალაქში მაინც არ გამოიყვანეს, ალექსანდრიაში, 300 კილომეტრით დაშორებულ ქალაქში გაამწესეს, რომლის გზაზე 80 კილომეტრი საჰარის უდაბნოში უნდა გაეგლოთ.

სხვათა შორის, 1948 წლის XIV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში მაჰმუდ ფაიადი ალექსანდრიელია, რომლის მსოფლიო რეკორდი სამჭიდში 332,5 კილოგრამს უდრიდა. ოთხი წლის შემდეგ, ჰელსინკში, რაფაელ ჩიმიშკიანმა სწორედ მისი რეკორდი გააუმჯობესა მთელი 5 კილოგრამით.

ჩიმიშკიანმა არც თავის ქალაქში შეარჩინა რეკორდსმენობა მასზე ადრე გაჩემპიონებულ მასპინძელს — ამჯერად 10 კილოგრამით აჯობა — 342,5 კგ.

„ბანკეტზე იგი არ მინახავს, თუმცა გამომშვიდობებისას ოქროს ბაზარში შემეყვანა და იქვე, ჩვენს თვალწინ დამზადებული ნაკეთობა მაჩუქა. მაშინ მას ხუთი ქალიშვილი ჰყავდა და მეგობრულად ვუთხარი — ეგ როგორ მოგივიდა, ერთი ბიჭი ვერ გამოურეე-მეთქი... მერე მე არ შემეძინა ხუთი გოგო?!“.

ეგვიპტიდან ახალჩამოსულებმა პეტროზავოდსკში, საკავშირო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და რაფაელ ჩიმიშკიანმა ჩემპიონობასთან ერთად მსოფლიო ახალი რეკორდიც დაამყარა — სამჭიდში 345 კილოგრამი დასძლია.

...რამდენი ხანია, საქართველოში, თავის სახლში არ ყოფილა. ეს ორი თვე საუკუნედ ექცა, ერთი სული ჰქონდა, ფეხმძიმე მეუღლე გაემხნევებინა, სიყრმის მეგობრები ენახა. ცოტა ხანში, 1954 წლის 10 ივნისს ჩიმიშკიანების ოჯახში დიდმა სიხარულმა დაისადგურა — მეუღლემ რაფაელს ტყუპი ქალიშვილი აჩუქა.



*რობერტ შავლაყაძე,  
ზურაბ მანხანელი,  
შოთა ქველიაშვილი,  
ნადეჟდა დვალიშვილი,  
რაფაელ ჩიმიშკიანი,  
ნინო დუმბაძე და  
ანზორ კიკნაძე*

ხოლო ავსტრიის მსოფლიო ჩემპიონატისწინა შეკრებაზე რომ გამოიდახეს, ჯერ კიდევ სულ თოთო ბავშვები ძლივს გააშვებინეს ხელიდან. შეკრება იალტაში მოენყო.

„იქ, პლაჟიდან კლდე მოსჩანდა, თავში კინკილა ნაძვის ხე იდგა. ჩავიფიქრე, იქ თუ ავალ, ბავშვები კარგად დამხვდებიან-მეთქი. და კლდეზე ასვლა ავიხირე. მაშინ პაპიროსს ვენეოდი და ძლივს, დიდი გაჭირვებით, ქოშინ-ქოშინით მივალწიე იმ ადგილამდე. აი, მაშინ კი ვთქვი, ასე საქმე წინ ვერ წავა-მეთქი და ისე ვივარჯიშე, ისეთ ფორმაში ჩავდექი, რომ მერე ლამის სირბილ-სირბილით ავდიოდი იმ ნაძვის ხესთან.

თურმე ტყუილად არ ვნერვიულობდი, ერთი ბავშვი დამლუპვოდა, ფილტვების ანთება დამართნოდა, სანყალი, ხუთი თვისა იყო...



ჩემს თანაგუნდელს ივანოვსაც იმ დროს დაეღუპა თოთო ბავშვი და მეორე დღეს ისევ დაბრუნდა შეკრებაზე. გავგიჟდი, რამ ჩამოგიყვანა-მეთქი და, აბა რა უნდა მექნაო, მიპასუხა. ჩემთვის რომ ვინმეს შეეტყობინებინა, იქ გამჩერებელი ვიყავი! იალტაში ძმამ ჩამომაკითხა, არც იმას უთქვამს არაფერი, მეუღლესაც რომ ველაპარაკებოდი ტელეფონით, იმანაც დამიძალა... ეჰ, რაც იყო, იყო...“.

ჩემმა მასპინძელმა მოიწყინა, ხმაში ბზარი შეეპარა. ბედად, ოთახში ქალბატონი მარია შემოვიდა, ყავა და ნუგბარი მოგვართვა და ცოტა ამას გადავაცოლეთ გული.

...ისე მოხდა, რომ ჩიმიშკიანისა და საქსონოვის დაპირისპირება მრავალი წელი გრძელდებოდა. ეს, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური ბრძოლა იყო. ნაკრების მწვრთნელები აშკარად საქსონოვს ემხრობოდნენ, მაგრამ რაფაელს მაინც თავისი გაჰქონდა. ავსტრიაშიც ასე მოხდა: თბილისელმა ძალოსანმა ოქროს მედალიც მოიგო და მსოფლიოს ორი რეკორდიც დაამყარა — 143 კილოგრამი აკვრაში და 350 კილოგრამი სამჭიდში!

შეჯიბრების შემდეგ კათოლიკურ ეკლესიაში შევიდა და იქ ილოცა. დიდებული ქალაქია ვენაო, იგონებს ბატონი რაფაელი.

„ვენაში მალაზიაში შევიარე და ბავშვებისთვის ორ-ორი ხელი ტანსაცმელი ვიყიდე, სახლში კი ორის მაგივრად ერთი აკვანი დამხვდა...“

სმა დავინწყე, ვარჯიშს გულს ველარ ვუდებდი, გაღიზიანებული დავდიოდი, ჩემს თავს ვერ ვპატიობდი, შეჯიბრებაზე რომ არ წავსულიყავი, ეგებ არც არაფერი მომხდარიყო, ეგებ როგორმე მეშველა-მეთქი. ისევ ბიჭებმა, მეგობრებმა, დედაჩემმა და ჩემმა მეუღლემ გადამატანინეს ეს უბედურება“.

ქალბატონი მარია, ქმარს რომ ველარ მოერია, „დინამოს“ საბჭოში მისულა და ხელმძღვანელობისთვის უთხოვია, ეგებ რაიმე უშველოთ, ბავშვის დაღუპვის შემდეგ სმას მიჰყო ხელიო. დაიბარეს და მკაცრადაც დაელაპარაკნენ: უბედურება ვის არ დამართნია, მაგრამ თავი კი არ მოუკლავთ, სმას თავი დაანებე, ოჯახს და საქმეს მიხედეთ. თან მოსკოვის საქალაქო კომიტეტის აგარაკის საგზური გადაუციათ: წადი, გული გადააყოლე, თან დაისვენე, მერე კი ვარჯიშსაც შეუდექო. მწვრთნელიც გააყოლეს.

ერთთვის ვარჯიში არ იყო, თან თბილისისკენაც არ უწევდა გული, შიშობდა, სასმელზე არ წამიცდეს ხელიო და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს

ხელმძღვანელობას შემოუთვალა, იქნებ როგორმე კიდევ ერთი თვით გამიგრძელოთ საგზურიო. გაუგრძელეს.

კეთილსინდისიერად ივარჯიშა და სპორტული ფორმა აღიდგინა. იქიდან პირდაპირ მინსკში, საკავშირო ჩემპიონატზე გაემგზავრა, კიდევ ერთხელ მოუგო საქსონოვს და მსოფლიოს ახალი რეკორდიც დაამყარა ატაცში — 109 კილოგრამი!

...მაშინ საქართველოს კომპარტიის ცეკა-ს პირველი მდივანი ვასილ მყავანაძე იყო და რაფაელ ჩიმიშკიანმა მას სთხოვა, ულიფტო სახლის მეხუთე სართულზე ვცხოვრობ, ჩემი მოხუცი მშობლები ვერ ამოდიან და იქნებ რამე მიშველოთო. კაცო, მშობლები იქით უნდა მოინახულო, სპორტსმენი კაცი ხარ, ფეხებს გაივარჯიშებო — გაეხუმრა ცეკა-ს მდივანი. ვასილ პავლოვიჩ, მე კიდევ ვარჯიში მინდა, დღეგამოშვებით 20 ტონა რკინას ვენვეიო, — სიცილითვე უპასუხია რაფაელს...

„1956 წლის მაისში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შეკრებაზე გამგზავრების წინ, საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი სიხარულიძემ დამიბარა და მითხრა, ამერიკული ჟურნალ „ლაიფს“ კორესპონდენტი ჩამოდის და შენთან შეხვედრაც სურს, სასწრაფოდ ბინა უნდა გამოიცვალოო. რამდენიმე ვარიანტი შემომთავაზეს და ბოლოს ეს სამოთახიანი ბინა ავირჩიეთ. 1929 წელსაა აშენებული, თავიდან სამი სართული იყო, მერე ორი დააშენეს. ბინა სარემონტო იყო, რემონტი კი სტუმრის ჩამოსვლამდე ვერ ესწრებოდა. სახელდახელოდ შევალამაზე, მაგრამ ბევრი არაფერი გამოვიდა.

ამასობაში ჩამოვიდა ეს ამერიკელი ქალბატონი, ლიზა ერქვა. მაშინ ერთი გოგო მყავდა, ჟანა. ბავშვთან ერთად სურათი გადამიღო. ჩემს მეუღლეს ფრანგულად გაესაუბრა. თურმე იმას უკითხავს, რამდენი ხნის ცოლ-ქმარი ხართო, ექვსისო, უპასუხია მარიას. კი მაგრამ, ექვსი წლის განმავლობაში ბინა ვერ გარემონტეთო? სულ შეკრებებზე და შეჯიბრებებზეა, შინ ძალიან იშვიათადა და რემონტსაც ვერ მოება თავიო. ამერიკელ ჟურნალისტს თარჯიმანი ახლდა და იმან ყურები ცქვიტა — მეკითხება, რაზე ლაპარაკობენო. აბა, მე რა ვიცი, ფრანგულისა არაფერი გამეგება-მეთქი. იცოცხლე, ეს თარჯიმანი პანიკაში ჩავარდა. უშიშროების მანქანებით აივსო ჩვენი პატარა ქუჩა.

მერე ამ კორესპონდენტს სპარტაკიადის დღეებში მოსკოვის სასტუმროში გადავყარე. მეუღლისთვის მძივები მაჩუქა. საღამოს რესტორანში დავპატი-

ჟე. ფულის გადასახდელად რომ ავდექი, ერთმა ჩაკოსტუმჩაგალსტუხებულმა კაცმა გამაჩერა, ყველაფერი გადახდილიაო. რა თქმა უნდა, სუკ-ის თანამშრომელი იყო“ ...

1955 წელს, მიუნხენის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე, ჩიმიშკიანის მწვრთნელი, იზმაილ მეხანიკი არ გაუშვეს. საშუალონონოსანმა მსოფლიოს ჩემპიონმა არკადი ვორობიოვმა ექიმის წაყვანა მოინდომა და აბა, უარს ხომ არ ეტყოდნენ და თეთრხალათიანიც მეხანიკის მაგივრად გაიყოლეს. რა ექნა მწვრთნელს, აილო და ვარჯიშების გეგმა გაატანა, ბარათიც ჩაუდო ჯიბეში, რომელშიც აი, რას წერდა: „ძვირფასო რაფო, აჭივავში სუსტი ხარ, ამ მოძრაობაში საქსონოვთან კი არა, შესაძლოა უდოდოვთანაც კი წააგო (უდოდოვი მჩატე წონიდან გადავიდა ქვემსუბუქში), ატაცსა და აკვრაში მასზე ძლიერი ხარ. ამიტომ, თუ აჭივავში წააგე, გული არ გაიტეხო. დაწყნარდი, მშვიდად იყავი, აკვრას შენ მოუგებ! წონა კი ისე დაიყენე, რომ მასზე მსუბუქი იყო“.

მართლაც, როგორც მწვრთნელი ვარაუდობდა, რაფაელმა აჭივავში ორკილონახევარი წააგო. მაგრამ ეგ არაფერი, მაგას ეშველებოდა, უბედურება ის იყო, რომ ხმის გამცემი არავინ ჰყავდა, ყველანი — მწვრთნელებიც, მასაჟისტიცა და ექიმიც უდოდოვს დასტრიალებდნენ თავს, ჩვენი რაფაელი კი, აბა, ვის ახსოვდა.


„110-კილოგრამიანი შტანგა ავიტაცე და მსოფლიო რეკორდი დავამყარე. უდოდოვსაც გაეუთანაბრდი. დაიწყო აკვრა. პირველ ცდაზე 135 ავიღე. უდოდოვმაც იგივე გაიმეორა. მერე 140-იც დავიმორჩილე, იმან 140 გამოტოვა და სწორედ აქ შეცდა. საბოლოოდ, უდოდოვსაც და დანარჩენებსაც ვაჯობე და მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გავხდი. თან სამჭიდის მსოფლიო რეკორდიც გავიმეორე — 350 კგ.“

1955 წელს საფრანგეთის მთავრობის მიწვევით მსოფლიოს ჩემპიონი საბჭოთა ძალოსანთა ნაკრები პარიზს გაემგზავრა ადგილობრივ სპორტსმენებთან მატჩის გასამართად. საფოსტო მატარებლით იმგზავრეს, რომელსაც ორი ვაგონ-რესტორანი და ორიც კუპირებული ვაგონი ჰქონდა მიბმული.


პირველი შეხვედრის წინ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა კუცენკომ რაფაელს უთხრა, როგორც ატაცში და აკვრაში მსოფლიოს რეკორდსმენმა, მაცურებელს მთელი შენი კლასი აჩვენე, დახვეწილად და ლამაზად შეასრულე მოძრაობები. შედეგს მნიშვნელობა არა აქვს, ამხანაგური მატჩიაო.

„ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდო, დელეგაცია დელეგაციაზე მოდიოდა ერევნიდან. არ წავედი, მოსკოვშიც შემომთავაზეს გადასვლა, მაგრამ ვერც იმით გადამიბირეს. ჩემს ქალაქს, ჩემს ქვეყანას როგორ ვუღალატებდი! ზემელზე დავიბადე და გავიზარდე, ჩემი მუდმივი საცხოვრებელი კი დიღმის სასაფლაო იქნება.“





რაფაელ ჩიმიშკიანი,  
იური ვლასოვი და  
ლვადიმირ სტოგოვი.  
კისლოვოდსკი, 1961 წელი



საქართველოს  
ძალოსანთა ნაკრები.  
მარჯვნიდან პირველი —  
რაფაელ ჩიმიშკიანი.  
1949 წელი

კი ბატონო, დაეთანხმა რაფაელი — შედეგს მართლაც რა მნიშვნელობა ჰქონდა.

„რაც შემეძლო, დახვეწილად შევასრულე მოძრაობები და ტაშიც ბევრი დავიმსახურე. იმისთვის არც მიმიქცევია ყურადღება, რომ უდოდოვს უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა.“

მესამე თუ მეოთხე დღეა, საფრანგეთში საბჭოთა საელჩოში ვსხედვართ. მაგიდაზე ახალი „სოვეტსკი სპორტი“ დევს. გადავშალე, რას ვხედავ — შავით თეთრზე წერია „უდოდოვმა ჩიმიშკიანს მოუგო და რევანში აიღო“. წერილს ხელს აწერდა იაკობ კუცენკო. მივედი კუცენკოსთან და ვუთხარი: თქვენ არ მითხარით, რომ მოძრაობების ტექნიკა მეჩვენებინა, ეს რა დაგინერიათ-მეთქი. აქეთ დამამუნათა — კაცო, ამ სისულელეს აქცევ ყურადღებასო?

მეორე და მესამე დღეს მარსელისა და ნიცის ფიცარნაგებზე არ გამოვსულვარ. მწვრთნელებს გამოვუცხადე, თავს შეუძლოდ ვგრძნობ და კარგი იქნება, თუ დასკვნით შეჯიბრებამდე დავისვენებ-მეთქი. ასეც მოხდა. ბოლო გამოსვლაზე, მე მგონი, უდოდოვზე ოცი კილოთი მეტი ავნიე, მერე კუცენკოსთან მივედი და ვუთხარი: ბატონო იაკობ, შეგიძლიათ დარეკოთ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციაში და გადასცეთ: ჩიმიშკიანმა ორმაგი რევანში აიღო-მეთქი. რისი დამრეკავი იყო, მე, უბრალოდ, ჩემი ჭია გავახარე.“

1956 წელია. მოახლოვდა სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა. ამ შეჯიბრებისთვის განსაკუთრებული გულისყურით ემზადებოდნენ ჩვენი სპორტსმენები. ემზადებოდა ჩიმიშკიანიც. მაგრამ მოსკოვში ჩავიდა თუ არა, მოინამლა და სიცხიანს მოუწია ფიცარნაგზე გამოსვლა. მაინც იყოჩაღა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

სპარტაკიადის შემდეგ, ჰელსინკიში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. იქ ჩიმიშკიანი საუკეთესო იყო და მეხუთედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ამასობაში მოახლოვდა მელბურნის ოლიმპიური თამაშები. საბჭოთა ნაკრების კანდიდატები, სპორტის უმეტესი სახეობის წარმომადგენლები, ტაშკენტში გადიოდნენ დასკვნით სანწვრთნელ შეკრებას.

„შეკრებებზეც ვერ ასცდებოდნენ ხოლმე პარტიულ კრებებს და აი, ახლაც იმ კრებაზე ვსხედვართ. სიტყვით ქართველების მოძულე არკადი ვორობოვი გამოდის, მსოფლიოს ჩემპიონი. სტალინს მიადგა! რაც შეუძლია ლანძლავს და აგინებს. არსენ მეკოკიშვილიც ჩვენთან ერთად ზის. უცებ წამოიმართა ეს მთა-

კაცი, მივიდა ტრიბუნასთან და ისეთი გაულანუნა იმ შენს ვორობიოვს, საწყალი სამ მეტრზე გადაადგო.

მეორე დღეს ჩვენი ძია არსენი შეკრებიდან მოხსნეს და შინ გაუშვეს, მაშინ იგი 44 წლისა იყო“...

დადგა მელბურნში გამგზავრების დღე. მთელი დელეგაცია ტაშკენტის აეროპორტში გაემგზავრა. დაინყეს წამსვლელთა სიის ამოკითხვა (რალა აეროპორტში მოუნდათ სიის ამოკითხვა, ამის გაკეთება ბაზაზე, სასტუმროში არ შეიძლებოდა?). რაფაელ ჩიმიშკიანი ამ სიაში არ აღმოჩნდა. მიზეზის გარკვევა რომ მოინდომა, ნაკრების მწვრთნელმა უთხრა — გული ნუ დაგწყდება, ვერ გენდობით, ფორმაში არა ხარო. რაფაელის წონაში წაიყვანეს უდლოვო და ევგენი მინაევი. ერთმაც წააგო და მეორემაც!

1957 წელს ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი თეირანში ჩატარდა.

ამ ჩემპიონატისთვის საბჭოთა ნაკრები სინოპში ემზადებოდა. იმ პერიოდში ჩიმიშკიანმა მონაწილეობა მიიღო ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდოვეთის სპარტაკიადაში, თანაც უფრო დაბალ, მსუბუქ წონაში გამოვიდა. გუნდის ინტერესები ასე მოითხოვდა და რაფაელს უარი არ უთქვამს. მისი მთავარი მეტოქე იყო ბაქოელი ჰუსეინოვი — ძალიან ძლიერი ძალოსანი.

შეჯიბრება, ტრადიციულად, აჭიმვით დაიწყო. ბაქოელმა 120 კილოგრამი აჭიმა, რაფაელმა მხოლოდ 105. სამაგიეროდ ატაცო მოუგო, ხოლო აკვრაში 145-კილოგრამიანი შტანგა დაიმორჩილა და პირველ ადგილზე გავიდა.

დაბრუნდა სინოპში და მწვრთნელებმა რომ ჰკითხეს, ბაქოში რა ჰქენიო, რაფაელმა სიგელი გაუნოდა. კი, მაგრამ, ეს რომ შენი სიგელი არ არის, შენ რალაცა გიმამაძალიაო. თურმე, ორგანიზატორებს საქმე წინ წაუგდიათ, მსუბუქ წონაში ჰუსეინოვის გარდა სხვა ვინ გაიმარჯვებო და წინასწარ შეუვსიათ სიგელი. მერე კი, ზედმეტი ეგ ზემპლარი რომ არ აღმოაჩნდათ, სასწრაფოდ წაუშლიათ მისი გვარი და ქვეშ ჩიმიშკიანი მიუწერიათ. რაფაელის ეს მონაყოლი საეჭვო ეჩვენათ, მაგრამ მეორე დღეს მან „სოვეტსკი სპორტი“ იყიდა და მწვრთნელებს ცხვირწინ აუფრიალა — აბა, ნახეთ, აქაც ჩემი გადასწორებულიაო?!

...ირანში სომხეთის გავლით გაემგზავრნენ. ორი დღით ერევანში დარჩნენ, ივარჯიშეს. ამ ვარჯიშებს ადგილობრივი ახალგაზრდები ესწრებოდნენ და ჩი-

მიშკიანის მიმართ „რატომღაც“ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდნენ. ისიც, როგორც თავად ამბობს, იშტაზე მოსულა და ერევნელი სომხების „ხათრიტ“ მსოფლიო რეკორდზე ორი კილოგრამით მეტი სიმძიმე აუტაცია. ამ რეკორდს, ცხადია, არავინ ჩაუთვლიდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რაფაელმა თავყანისმცემელთა „შეკვეთა“ შეასრულა. თანაც გამოჩნდა, რომ საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყო. რაფაელს ერთი სული ჰქონდა, ირანში, მსოფლიო ჩემპიონატზე დაემტკიცებინა, რომ კვლავ უძლიერესი იყო პლანეტაზე.

მაგრამ ადრინდელი ისტორია გამეორდა: შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოუცხადეს: მინავეი შენზე უკეთაა მომზადებული და თეირანში ის გამოვა, შენ სხვა შეჯიბრებებისთვის მოემზადე და შანსიც მოგეცემაო.

...რაფაელს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ან რა დააძინებდა. რადიომიმღები ჩართო და რა ესმის: ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, მრავალგზის რეკორდსმენი რაფაელ ჩიმიშკიანი, სამწუხაროდ, ავად გახდა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებსო.

„გავგიჟდი, საკუთარ ყურებს არ დავუჯერე, ასეთ ჯანზე არასდროს ვყოფილვარ, ვარჯიშებზე მსოფლიოს რეკორდებს ვაუმჯობესებდი, წონა ნორმაზე მქონდა. რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ...“

შეჯიბრება რომ დაიწყო, დარბაზში არც შეუხედავს, რა გულით უნდა ეყურებინა!

ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, სალამოს, ირანის შეიხმა ბახტიარმა, რომელიც ადრე ძალოსნობას მისდევდა, იმხანად კი ირანის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი იყო, ეგრეთ წოდებული, სარეკორდო გამოსვლები დანიშნა, რომელსაც თავად შაჰინ-შაჰი დაესწრო. ერთგვარი შოუ მოაწყვეს საესტრადო და საციკო ნომრების თანხლებით.

რაფაელს აქ გამოსვლას ვინღა დაუშლიდა.

„ისე ვიყავი, რამდენიმე დღის დაბმულ ძაღლს რომ აუშვებ და ისიც აიწყვეტს. პირველივე მისვლაზე 105 კილოგრამი ავიტაცე. მეორე ცდაზე კი უკვე მსოფლიოს რეკორდი დავამყარე — 110,5 კილო. მერე დაიწყო აკვრა. პირველ მისვლაზე 135 კილოგრამი ავიღე, მეორეზე — 143,5! ესეც სარეკორდო წონაა. მეტი რომ დაედოთ, იმასაც ავწევდი. იმ სალამოს ჩემი შეჩერება შეუძლებელი იყო!“



დარბაზმა დიდი ოვაცია მომიწყო, ტაში და შეძახილები კარგა ხანს არ შემწყდარა. და, უცებ, გაირინდა დარბაზი. ღმერთს ვფიცავარ, ავიხედე, შაჰინ-შაჰი წამომდგარა და ტაშს მიკრავს. მადლობის ნიშნად აღმოსავლური რიტუალი ჩავატარე, თან მეშინია, პარტიის წევრი ვარ და რუსებმა შარი ამაზეც არ მომდონ-მეთქი. ერთდროულად ბედნიერიც ვიყავი და... დაბოლმილიც: აბა, ეს საქმეა, ორი რეკორდი დავამყარე და მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გავხდებოდი?!”.

1957 წელს კატოვიცეში ისევ მოიგო ჩიმიშკიანმა ევროპის ჩემპიონატი. ეს ამბავი 16 სექტემბერს მოხდა. დაჯილდოებისას პატარა, გრძელთმიანი, ქერა გოგონა გამოიქცა ტრიბუნებიდან და ყვავილები რომ მიართვა, რაფაელმა ხელში აიყვანა და გადააკოცნა. მერე, კულისებში ეძებდა იმ ბავშვს და მისი მეგობრის, პოლონელი ძალოსნის შვილი აღმოჩენილა, სახელად ირენა. მეორე დღეს, 17 სექტემბერს კიდევ ერთი გოგონა შეეძინათ ჩიმიშკიანებს და მამამაც სწორედ ეს სახელი, ირენა დაარქვა თავის ქალიშვილს...

1959 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის საქართველოს გუნდი ბორჯომში ემზადებოდა.

„ჩემი მეუღლე ისევ ფეხმძიმედ იყო. დილას დავრეკე შინ, მერე შუადღისას, საღამოს, ყურმილს არავინ იღებდა. მოვაჯექი ჩემს „მოსკვიჩს“ და თბილისში ჩამოვქანდი. სახლში მესამე საბავშვო ეტლი დამხვდა, რომელშიც ბუთხუზა გოგონა იწვა! ბიჭი რომ ყოფილიყო, სპარტაკიადას უსათუოდ მოვიგებდი, ჩათქმული მქონდა. ვერ მოვიგე, ფეხი ვიტკინე, თუმცა მსოფლიოს რეკორდი მაინც დავამყარე, მაგრამ რომ ამწონეს, 100 გრამით ზედმეტი აღმომაჩნდა წონა“.

მომდევნო წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი მაინც მოიგო და ამით ფაქტობრივად დაასრულა სპორტული კარიერა, თუმცა, თუ ძალიან თხოვდნენ, რესპუბლიკურ თუ საუწყებო შეჯიბრებებში მაინც გამოდიოდა.

ბოლო გამოსვლა 1963 წელს ჰქონდა, ჩეხოსლოვაკიაში. უკვე 34 წლისა იყო და წონას ვეღარ იკლებდა...

„ხშირად მახსენდება ჩემი პირველი მწვრთნელი და მასწავლებელი პავლე გუმაშიანი. ძალიან ჭკვიანი და გულისხმიერი ადამიანი იყო. ახალგაზრდობაში სათანადო ყურადღება ვერ მივაქციე და ამის გამო გული მწყდება... ძალოსნობის ყველა ნიუანსი ხუთიანზე იცოდა, თაობები აღზარდა. მასთან ვარჯი-



75



75 წლის იუბილეზე.  
2004 წელი

შობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები, მსოფლიოს რეკორდსმენები მოისეი კასიანიკი, ვლადიმირ სვეტილკო, მამია ჟლენტი, ხაიმ ხანუკაშვილი, თქვენი მონა-მორჩილი... ჰო, კიდევ, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მეორე პრიზიორი, მსოფლიოს რეკორდსმენი აკოფ ფარაჯიანი, რომელიც 1959 წელს მოსკოვში გადავიდა. საინტერესოა, რომ გუმაშიანი სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი 1967 წელს გახდა, მანამდე აქედან მოსკოვში საბუთები არ გაუგზავნიათ.

— შვილებზე რომ არაფერი გითქვამთ?

— როგორ არა, ხომ არ გამოგრჩა... ოთხი ქალიშვილიდან სამი ექიმია, ერთი მუსიკის მასწავლებელი. ნაბოლარა ქრისტიანა უნგრეთში ცხოვრობს ქმარ-შვილთან ერთად.

სიძეებიდან ორი ექიმია, ერთი ინჟინერი, ერთი ეკონომისტი.

ხუთი შვილიშვილი მყავს, ოთხი ბიჭი და ერთი გოგო. ბავშვები სულ ჩემთან არიან.

ყველა ჩემი მიღწევა ჩემი მეუღლის დამსახურებაა. ის მაგულიანებდა, ის მამხნეებდა. გარდა ამისა, ოთხი ბავშვის აღზრდა პატარა საქმეა?! არავინ გვეხმარებოდა, მარტონი ვიყავით.

ამას წინათ შვილიშვილი ნავიყვანე ცურვაზე. იქ მომუშავე ქალბატონმა მიცნო, წამოხტა, მომესალმა, მომიკითხა... ძალიან გამეხარდა, ამდენი ხანია გასული და კიდევ მცნობენ და მაფასებენ.

...ზემოთაც ხომ გითხარით, ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდი, დღეგაც-ცია დღეგაციაზე მოდიოდა ერევნიდან. არ წავედი, მოსკოვშიც შემომთავაზეს გადასვლა, მაგრამ ვერც იმით გადამიბირეს. ჩემს ქალაქს, ჩემს ქვეყანას როგორ ვულალატებდი! ზემელზე დავიბადე და გავიზარდე, ჩემი მუდმივი საცხოვრებელი კი დიღმის სასაფლაო იქნება.

ამიტომაც ვთხოვ ახალგაზრდებს თავიანთი ქვეყნის, მამულის, ქალაქის სიყვარულს...

ჩემს მეგობრებს ვენაცვალე, წასულებს თუ აქ დარჩენილებს. ვახტანგ ბალავაძეს ვურეკავ ხოლმე და ძველ ამბებს ვიხსენებთ. იურა ოსიპოვი, გურამ სალარაძე, ლევან თედიაშვილი მირეკავენ...

...ამდენი წელი გავიდა გივი კარტოზიას დაკრძალვის შემდეგ და ყოველ წელიწადს გავდივარ სასაფლაოზე. სანამ სული მიდგას, ასე იქნება. ეჰ, ჩემი

გივი — პატარასთან პატარა იყო, დიდთან დიდი. ყველგან ის იყო გადამხდელი, ვერ დაასწრებდი.

ახალგაზრდობაში რუსთაველზე, ბორჯომის წყლებთან (ლალიძის წყლების გვერდით) გვექონდა ბიჭებს ბირჟა, მერე, რომ დავკაცდით, მეგობრები ოჯახებში ვიკრიბებოდით, დომინოს ვთამაშობდით, ნარდს ვაგორებდით, ათას ჭორ-მართალს ვყვებოდით. ახლა კი, მეგობრები, მონატრებული ამხანაგები ერთმანეთს ძირითადად გასვენებებში ვხვდებით...

— პურმარილებზეც ხშირად მინახიხართ...

— ჰო, იუბილევებზე მეძახიან ხოლმე, მიხარია, კიდევ რომ ვახსოვარ ხალხს.

ერთ კურორტულ შემთხვევასაც გავიხსენებ.

1994 წელს საქართველოში ჩინეთის სპორტული დელეგაცია ჩამოდიოდა და ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები გამოგვიძახეს, დახვდითო.

თვითმფრინავი აგვიანებდა, ორი-სამი საათი გვექონდა დრო და ცნობილ ველიამინოვის სახინკლეში გადავწყვიტეთ თავის შექცევა. ორმეტრიანი ხალხი რომ შევიდნენ — ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, ამურა ციმაკურიძე და მე, ლილიპუტი, უცებ მთელი დარბაზის ყურადღების ქვეშ მოვექექით. მარმარილოს მაღალი მაგიდები იდგა, ორიარუსიანი. შეფუკვით ხინკალი, ლუდი, არაყი. ვხედავ, მაგიდაზე სამივეს ლუდის თითო კათხა უდგას. კი მაგრამ, მე არ მესმევა, თუ როგორ არის ჩემი საქმე-მეთქი, გამიკვირდა. აგერ, დაბლა სართულზეა, ვერა ხედავ, აბა, ამ სიმაღლეს რას მოსწვდებიო, ტრადიციულად იოხუნჯა ჯორჯიკიამ. ცოტათი რომ შეთვრა, ნოდარმა ჩემი პიჯაკი ჩამოსხნა საკიდიდან და რის ვაი-ვაგლახით ჩაიცვა, კაცო, არ გაიჭიმო, არ გახიო-მეთქი. მართლაც, ორივე სახელოსთან ერთიანად ჩამოირღვა. ნოდარი შეწუხდა: რა-ფო-ჯან, არ გეწყინოს, ახალს გიყიდი, მანამდე ჩემი პიჯაკი ჩაიცვიო. რომ ჩავიცვი, ღამის პერანგივით მქონდა, ხალხმა სიცილი ატეხა. იქვე, იმავე ქუჩაზე ატელიე იყო და იქ გავაკვირინე.

— ვიცი, კახი კახიაშვილთან და გიორგი ასანიძესთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ...

— იცი, რა მაგონდება? 1992 წელია, ძალოსნობის დარბაზში ერთი ნათურა ბუჟტავს და იქაურობა შეშის ლუმელს გაუმჭვარტლია. იმ ლუმელით ვთბებოდით. კახი კახიაშვილი ოლიმპიადაზე მიდიოდა და გზა დაფულოცე. 40 წელი

ბაბუა და შვილიშვილები:  
 არტიომი, რაფაელი, დიანა,  
 უფროსი რაფაელი  
 და მიარგი.  
 1989 წელი



ველოდით ოლიმპიურ ოქროს მედალს და კახიმ ეს გმირობა ჩაიდინა. კახის მერე კი 12 წელი გავიდა და ახლა გიორგი ასანიძემ გაგვახარა!

2004 წელს, ზურაბ ზვიადაური და გია ასანიძე ათენიდან ოქროს მედლებით რომ დაბრუნდნენ, გრანდიოზული დახვედრა მოვუწყვეთ თავისუფლების მოედანზე. სიხარულისგან ვყვიროდი, მეორე დღეს ხმა აღარ მქონდა. სამ სიხარულს მოვესწარი — ჩემსას, კახისას და ახლა ასანიძისას-მეთქი...

— მოდით, მკითხველს ისიც გავახსენოთ, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციამ მეოცე საუკუნის საუკეთესო ძალოსნად თქვენ რომ დაგასახელათ, მეორე ადგილი კახიაშვილს მიეკუთვნა, მესამე — ასანიძეს.

— სხვათა შორის, 1999 წელს, 70 წლის იუბილეზე კახიმ საბერძნეთიდან მოსალოცი ბარათი გამომიგზავნა, ძვირფასი განძივით ვინახავ:

„Дорогой Рафаэль!

Поздравляю Вас с замечательным юбилеем, желаю Вам крепкого здоровья, долгих лет жизни и бодрости.

70 лет — срок немалый, коль зреш на Кавказе.

Так будь-же счастлив и здоров, Мой дорогой Рафаэль!

Вы являетесь моей путеводной звездой.

Ваш Кахи“

— ბატონო რაფაელ, სპორტული კარიერის შემდეგ, როგორც სპეციალისტმა, ძალოსნობასთან სულ განწყვიტეთ კავშირი?

— არა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვარ და საქართველოს ოლიმპიური ნაკრების კონსულტანტი. როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი ჩემს საყვარელ სახეობას.

ისე, 1962 წელს „დინამოს“ საბჭოში მივედი მწვრთნელად, მაგრამ შედეგები მაშინვე რომ მომთხოვეს, მივხვდი, არასერიოზულ ხალხთან მქონდა საქმე და წამოვედი. შტანგა, ძალოსნობა ისეთი საქმეა, შვიდი-რვა წელიწადი მაინც გჭირდება, მუხლმოუხრელი მუშაობის შედეგად რომ გაზარდო კარგი სპორტსმენი. ესეც იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდას ამის ნიჭი აღმოაჩნდა.

ამიტომაც სხვა საქმეს მოვკიდე ხელი, თითქმის ოცდაათი წელიწადი ვაჭრობის სისტემაში ვიმუშავე.

ისე, დაუსწრებლად დავამთავრე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა ფაკულტეტი.

— ბატონო რაფო, ბიჭი რომ შეგძენოდათ, ძალოსნობაში მიიყვანდით?

— არავითარ შემთხვევაში! ისე დავბერდი, ერთადერთხელ დამარტყა ნემსი ცხონებულმა ზაქრო თელიამ, ახლა კი ნემსებით თუ აბებით არიან გაჭყეპილი მთელი მსოფლიოს ძალოსნები.

... ღვთის ნებით, რაფაელ ჩიმიშკიანი კვლავ ფორმაშია — დილა-სალამოს ვარჯიშობს, რგოლებზე იწევა, ათასში ერთხელ შტანგასაც მიეპარება ხოლმე, ოღონდ დანოლილი: ას კილომდე ვწევ, მეშინია, ფეხზე მდგომს სისხლდარღვები არ დამინყდესო.

## რაფაელ ჩიმიშკიანი

დაიბადა 1929 წლის 23 მარტს თბილისში. ძალოსანი (56, 60 კგ). XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1952, ჰელსინკი), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1954, 55) და ორგზის მეორე პრიზიორი (1950, 53), ევროპის ექვსგზის ჩემპიონი (1950, 51, 54-57) და მეორე პრიზიორი (1953), მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1951), სსრკ ათგზის ჩემპიონი (1949-60), მსოფლიოს 11-გზის რეკორდსმენი, აქედან 5 რეკორდი დამყარებული აქვს სამჭიდში: 337,5 კგ (1952), 340 კგ (1953), 342,5 კგ, 345 კგ, 350 კგ (1954). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.



## RAPHAEL CHIMISHKYAN

Weightlifter (56, 60 kg) was born on March 23, 1929 in Tbilisi. Champion of XV Olympic Games (1952, Helsinki), twice world champion (1954, 1955), twice silver medalist (1950, 1953), six-time champion of Europe (1950-57) and silver medalist (1953) and champion of the World Student Games (1951). Chimishkyan is ten-time champion of the USSR (1949-1960). He is eleven-time world record-holder and held five records in triathlon: 337.5 kg (1952), 340 kg (1953), 342.5 kg, 345 kg, and 350 kg (1954). He is an honored master of sports of the USSR, referee of international category and honorary freeman of Tbilisi. Chimishkyan was decorated with Order of Honor and Vakhtang Gorgasali Order of 2nd class.